# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.




შაბათი, 25 იანვარი, 2014 წელი.

№16-17 (7398)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## დასავლეთს რუსეთის წინააღმდეგ მოქმედების შნო არა აქვს ④

## თბილისი გმობს ძალადობას კიევში ⑧



## სტრატეგიულ ობიექტების გაყიდვა აღარ ემუქრება ③

## „მხედრიონი“ – ბოროტების მხედრობა



⑥-⑦

## ბიზნესი ლარის დევალვაციას ვეღარ უძლებს ②

## ⑤ დათა ახალაიას ბრალი დაუმძიმდა

## „გამარჯვების მჯეროდა, თუმცა, ჯერ ბილეთიც არ მქონდა“

მაგთიკომმა გათამაშების იღბლიანების პრიზები გადასცა

⑤


მაგთი MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ


## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრემიერი

# ირაკლი ღარიბაშვილი შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტს დიდიე ბურკჰალტერს შეხვდა



**შეხვედრას საქართველოს ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და საქართველოს ელჩი შვეიცარიაში ირაკლი ყურაშვილი დაესწრნენ.**

შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები განიხილეს. საუბარი შეეხო ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს. ორივე ქვეყნის მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების შესახებ. ირაკლი ღარიბაშვილმა შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკური მხარდაჭერისა და ამ საკითხებზე ურყევი პოზიციისათვის, ასევე შვეიცარიის შუამდგომლობისათვის საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში, საქართველოსათვის შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ გაწეული ტექნიკური თანამშრომლობისა და ჰუმანიტარული დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა.

* * *

**EBRD-ის ყოველწლიურ შეხვედრას 2015 წელს საქართველო უმასპინძლებს.**

აღნიშნული გადაწყვეტილება დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, პრემიერ-მინისტრისა და EBRD-ის პრეზიდენტის შეხვედრაზე იქნა მიღებული.

„ჩვენ ძალიან ნაყოფიერი შეხვედრები გვქონდა უმსხვილეს კომპანიებთან და ჰოლდინგებთან, რომლებიც არიან მოწოდებული და უკვე რეალურად მიმდინარეობს კონკრეტული საუბრები იმის შესახებ, რომ ისინი საქართველოში ინვესტიციების ჩადებას აპირებენ. მაგალითად, დღეს ცნობილი გახდა, რომ EBRD-ის ყოველწლიური შეკრება 2015 წელს საქართველოში შედგება. ამის მნიშვნელობა მინდა, სწორად იქნას გაგებული. ეს არის მართლაც მნიშვნელოვანი არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთლიანად რეგიონისთვის“, — განაცხადა ღარიბაშვილმა. თავის მხრივ, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის პრეზიდენტმა სუმა ჩაკრაბატამ აღნიშნა, რომ შეხვედრა საინტერესო იყო. ამასთან, მან ღარიბაშვილს პრემიერის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა.

* * *

**პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და საინვესტიციო კანონმდებლობის სრულყოფისთვის სამუშაო ჯგუფი შექმნა.**

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამის შესახებ გადაწყვეტილება ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერთან არსებული ეკონომიკური საბჭოს ბოლო სხდომაზე მიიღო.

აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში რომან ჩხენკელი, მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე და პრემიერ-მინისტრის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე.

ჯგუფი ერთ თვეში შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რაც მოიცავს დარგების მიხედვით პრობლემების იდენტიფიცირებას.

მეორე ეტაპი გულისხმობს ჯგუფში დარგობრივი კომისიების შექმნას, სადაც დეტალურად გაიწერება სამოქმედო გეგმა, მოხდება კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე გადაწყვეტილების მიღების რეკომენდაციების წარმოდგენა.

ვითარება

# ბიზნესი ლარის დევალვაციას ვეღარ უძლებს

**პირველადი და აუცილებელი მოთხოვნილების საქონელი ლარის დევალვაციას ვეღარ უძლებს. ფარმაცევტები და ნავთობიმპორტიორები გაძვირებისთვის ნიადაგს ამზადებენ. შედარებით სტაბილურია ვითარება პურპროდუქტების ბიზნესში.**

ხორბლისა და პურ-პროდუქტების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ლევან სილაგავას პროგნოზით, თუ ლარის კურსის რყევა კვლავ გაგრძელდება, ფქვილის ფასმა, შესაძლოა, მაქსიმუმ 2-3 ლარით მოიმატოს, რაც დაახლოებით 1 თვეშია მოსალოდნელი. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის 1 ტომარა პირველი ხარისხის ფქვილის ღირებულება 35 ლარია.

მეხორბლეებისგან განსხვავებით მომავალს ეჭვის თვალით უცქერენ ფარმაცევტები. ისინი არ მალავენ, რომ ლარის გაუფასურებამ შეიძლება მოსახლეობისთვის ერთ—ერთი ყველაზე მტკივნეული შედეგი მოიტანოს, რადგანაც მედიკამენტების გაძვირების საფრთხე სულ უფრო რეალური ხდება.



სხვათა შორის, წამლებზე ფასის მომატება უკვე კარგა ხნის დაწყებულია, მაგრამ ამას არ აქვს ნახტომისებული ეფექტი. ამიტომ, მომხმარებელი დიდ დარტყმას ვერ გრძნობს. ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოში სააფთიაქო ქსელში წარმოდგენილი მედიკამენტების 90% იმპორტირებულია და ფარმაცევტები საცალო გაყიდვის დროსაც კი პროდუქტის ფასს იმ დღის ლარის კურსზე ამრავლებენ. შესაბამისად, ბოლო 2 თვის განმავლობაში ერვონული ვალუტის 7%-იან ვარდნას, რასაკვირველია, ფასების კორექტირება მოჰყვა.

მაგრამ, ახლა, როგორც ჩანს, უფრო მასშტაბურ გაძვირებაზე მიდის საუბარი. „პეესპეს“ დამფუძნებლის კახა ოქრიაშვილის თქმით, თუ ლარის კურსი 1.8-ის ნიშნულს გადასცდა, მედიკამენტებზე ფასები აუცილებლად გაიზრდება. როგორც ოქრიაშვილი აცხადებს, ამ შემთხვევაში ფასების ზრდა ეტაპობრივად მოხდება, ანუ რომელი მედიკამენტის მარაგიც არსებობს, ის შედარებით გვიან გაძვირდება და ა.შ.

თუ ლარის კურსი არ დასტაბილურდა, ფასები ადგილობრივი წარმოების მედიკამენტებზეც გაიზრდება. ოქრიაშვილის განცხადებით, მის კომპანიას ნედლეული გერმანიიდან, საფრანგეთიდან და ესპანეთიდან შემოაქვს, ამიტომ კურსის ცვლილება ადგილობრივ ნაწარმზეც აისახება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც ადგილობრივი წარმოების მედიკამენტები იმპორტირებულზე 20 პროცენტით იაფი იქნება.

კომპანია „ჯიპისის“ ხელმძღვანელი დავით კილაძეც „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ამ ეტაპზე ლარის კურსის ცვლილება მედიკამენტების ფასზე ჯერ არ ასახულა, მაგრამ თუ მსგავსი ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდა, პროცესს დააკვირდებიან და ამის მიხედვით გადახედავენ ფასებს. რაც შეეხება ადგილობრივ პროდუქციას, კილაძე ამ მიმართულებით ფასების ზრდას არ ელის.

ქართველი ავტომფლობელების გასახარად, ლარის მკვეთრი ვარდნის მიუხედავად, ბოლო დღეების განმავლობაში ნავთობპროდუქტების ბაზარზე საწვავი არ გაძვირებულა. პირიქით, სადღესასწაულო დღეებში ბენზინის ღირებულება შემცირდა კიდეც. ამის მიზეზი, საქართველოს ფარგლებს გარეთ არის საძიებელი. მსოფლიოში ნავთობპროდუქტები ბოლო პერიოდში პერმანენტულად იაფდება. ასე რომ, საქართველოში საწვავის გაუძვირებლობის მიზეზი სწორედ ეს არის.

როგორც ჩანს, საერთაშორისო ტენდენცია მაინც არ არის საკმარისი ადგილობრივ ბაზარზე სტაბილური ვითარების შესანარჩუნებლად. „სოკარის“ წარმომადგენელი აცხადებს, რომ საწვავის გაძვირება უახლოეს დღეებში მოსალოდნელი არ არის, თუმცა, ირაკლი ზუბიტაშვილის თქმით, თუ ლარი გაუფასურებას გააგრძელებს, კომპანია იძულებული იქნება, საწვავი გააძვიროს.

იგივე პოზიცია აქვს „გალფის“ ვიცე-პრეზიდენტს. კომპანიამ 4-7 თეთრით საწვავზე ფასი ორი კვირის წინ გაზარდა, თუმცა, ლარის ვარდნის გაგრძელების შემთხვევაში, ფასის კიდევ ზრდა გამორიცხული არ არის.

**ბექა დანელია**

„ლარსიჰესი“

# ქართული ენერგეტიკა დამოუკიდებლობისკენ მიიწევს

**გუშინ ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე „ლარსი ჰესის“ გახსნის ცერემონიალს დაესწრო.**

**— ჩემთვის ამ ობიექტის გახსნა ორმაგად მნიშვნელოვანია — უპირველეს ყოვლისა ის, რომ ახალი სიმძლავრე ემატება ჩვენი ქვეყნის ენერგოსისტემას და გასული წლის განმავლობაში ეს არის მესამე ამოქმედებული ენერგოობიექტი. ესეთი ობიექტები ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების გარანტიაა. როგორც ვიცი, მოწესრიგდა მიმდებარე ინფრასტრუქტურაც, რაც კიდევ დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის.**



ამ ულამაზეს ხეობაში, სადაც გადის ტურისტული თუ კომერციული მარშრუტები, შენდება სასტუმროები, კვების ობიექტები, იქნება მუდმივი ელექტრომომარაგება, დასაქმდება მოსახლეობა ახალგაზრდობისთვის აქ დარჩენა უკვე საინტერესო და მიმზიდველი იქნება. რეგიონი ფეხზე დადგება.

ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ ერთი რამ: თითოეული მოქალაქე ვალდებულია, სრულყოფილად შეასრულოს ის სამუშაო, რაც ევალება მას, დაწყებული ამ ჰესზე მომუშავე პერსონალით და დასრულებული ქვეყნის მთავრობით!

ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ყველა დარგი, ყველა პროექტი მიბმულია ერთმანეთზე და მხოლოდ ერთობლივი მუშაობა და საერთო ძალისხმევა მოგვცემს ისეთ ეკონომიკურ ეფექტს და წინსვლას, როგორიც ჩვენი ქვეყნის სწრაფ განვითარებას შეუწყობს ხელს. ჩვენ მივიყვანთ ქართულ ენერგეტიკას დამოუკიდებლობამდე, ქართული ენერგეტიკა კი მიიყვანს ქვეყნის ეკონომიკას მაქსიმალურ განვითარებამდე და კეთილდღეობამდე, — განაცხადა კახი კალაძემ.

„ლარსი ჰესი„ დაბა ყაზბეგში გაიხსნა. ახალი ჰიდროელექტროსადგურის გახსნის ცერემონიას ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, ასევე ჰესის დეველოპერი კომპანიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„ლარსის ჰესის“ დადგმული სიმძლავრე 19 მგვტ—ია, ხოლო წლიური გამომუშავება 100 მლნ კვტ/საათს შეადგენს.

ახალი ჰიდროელექტროსადგური დერივაციული ტიპისაა. კომპანიამ დაბა ყაზბეგში, მდინარე თერგზე „ლარსი ჰესის„ მშენებლობა 2011 წელს დაიწყო. ჰესის მშენებლობაში 20 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ჩაიდო.

„ლარსი ჰესის“ მშენებლობაზე დასაქმებული 150 ადამიანიდან დიდი ნაწილი ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა იყო. ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ ობიექტზე 40 მუდმივი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

ჰესის ოპერირების მიზნით, კომპანიამ 110 კვ ქვესადგური ააშენა, რომელიც ელექტროსადგურს ცენტრალურ ენერგოსისტემასთან დააკავშირებს.

კანონმდებლები

# პარლამენტმა თვითმმართველობის კოდექსი მეორე მოსმენით მიიღო

**ხანგრძლივი განხილვისა და დებატების შემდეგ, პარლამენტმა მეორე მოსმენით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ პროექტი და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა. დეპუტატებმა თვითმმართველობის კოდექსის პროექტი მეორე მოსმენით, 84-ხმით 14-ის წინააღმდეგ მიიღეს.**

მანამდე კენჭისყრაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ალტერნატიული შეთავაზებები დადგა, რომელიც პარლამენტმა კენსჭისყრის შედეგით - 17 მომხრე, 45-წინააღმდეგი, „ჩააგდო“.

ამასთან, პარლამენტმა თვითმმართველობის კოდექსი მეორე მოსმენით იმ მუხლის გარეშე დაამტკიცა, რომელიც მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის განსაზღვრის დროებით წესს ეხება. ეს ერთ-ერთი ყველაზე სადავო საკითხი იყო, რომელსაც პარლამენტი მეორე მოსმენით კვლავ დაუბრუნდება.

გარდა ამისა, გადაწყდა, რომ თვითმმართველობის პაკეტის ფარგლებში განხილვის საგანი აღარ იქნება საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები. როგორც ამასთან დაკავშირებით პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე ითქვა, ყველა ის საკითხი, რაც საარჩევნო კოდექსს ეხება, ინტერფრაქციული ჯგუფის ფარგლებში იქნება განხილული და შეთანხმებული და მხოლოდ ამის შემდეგ გავა პარლამენტში განსახილველად.

**ინტერპრესი**



სახელმწიფო



# სტრატეგიულ ობიექტებს გაყიდვა აღარ ემუქრება

**„ნამუსის გაყიდვა არ შეიძლება, ყველაფერი სხვა რამის, რაც შენდება ქვისა და აგურისგან, გაყიდვა კი შეიძლება“, — თავის დროზე კახა ბენდუქიძის ამ სიტყვებს კონკრეტული შედეგი მოჰყვა და ნაციონალები სტრატეგიულ ობიექტებს სავაჭრო ობიექტთა ნუსხაში განიხილავდნენ. თუმცა ეკონომიკის „ბენდუქიზაციამ“ ქვეყანას წარმატება არ მოუტანა. ბენდუქიძისთვის დღესაც გაუგებარია სტრატეგიული ობიექტის ცნება. იგი არ მალავს, რომ არ ესმის ამ საკითხის ფილოსოფია. პირიქით, ფიქრობს, რომ ეს მავნებლური სიგნალი იქნება ინვესტორებისთვის, რომ ჩვენ რაღაცნაირად შევზღუდავთ მათ ბიზნესაქტივობას. სწორედ მისი ეკონომიკის მინისტრობის დროს ამოიღეს კანონიდან სტრატეგიული ობიექტის ცნება.**

ბენდუქიძისგან განსხვავებით, მოვლენებს სხვაგვარად უყურებს ახალი ხელისუფლება. პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, სტრატეგიული ობიექტების ნუსხა შეიქმნება, რომელიც დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს წარედგინება.

ასე რომ, მალე აღარავისთვის გახდება სადავო, უნდა გაიყიდოს თუ არა სატელევიზიო ანძა, საქართველოს რკინიგზა, ცენტრალური გაზსადენი, ჰესები...

თუმცა, რა კრიტერიუმით განისაზღვრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქონება, რომელი ობიექტები მოხვდება განახლებულ ნუსხაში, რას ნიშნავს ცნება „სტრატეგიული ობიექტი“, ჯერ უცნობია. გარკვეულია მხოლოდ, რომ კრიტერიუმები ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების გათვალისწინებით განისაზღვრება და სტრატეგიული მნიშვნელობის სტატუსი მხოლოდ სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებულ ქონებას მიენიჭება.

„ნაცმოძრაობა“ კვლავინდებურად არ ცნობს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებს. გიორგი ვაშაძე მიიჩნევს, რომ სტრატეგიული ობიექტები კიდევ ერთი ძველი გადმონაშთია, რაც შემდგომში ხელს შეუშლის ეკონომიკის განვითარებას.

ნაციონალი ზურაბ ჯაფარიძე კი ფიქრობს, რომ სტრატეგიული ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სამხედრო დანიშნულების, ეკონომიკაში კი ასეთი რამ არსებობს. აქედან გამომდინარე, ზურაბ ჯაფარიძეს ის დრო ახსენდება, როცა სტრატეგიულ ობიექტებად პურის ქარხნები ითვლებოდა და ამ ქარხნებს „აკონტროლებდა“ მხედრიონი.

მისი თქმით, შეუძლიათ, ასეთი რაღაც გააკეთონ და პურის ქარხანა აქციონ სახელმწიფო სტრატეგიულ ობიექტად, რომ მშიერი არ დარჩეს მოსახლეობა.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა შეშელიძე თვლის, რომ, თუ ჩვენ ფიქსირებას გავაკეთებთ გარკვეულ ობიექტზე, მაგალითად, რკინიგზაზე, მაშინ ჩვენ მას ვწირავთ, რომ ის არ განვითარდეს და მომხმარებელი მუდმივად იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე და არა ეკონომიკურ მოგებაზე.

ფაქტია, რომ ნაციონალების დროს სტრატეგიული ობიექტების საპრივატიზაციოდ გამზადებას ეწინააღმდეგებოდნენ ექსპერტები. ისინი ეკონომიკური ექსპანსიის საფრთხეს ხედავდნენ რუსეთის მხრიდან, რომელიც შეეცდებოდა, ხელში ჩაეგდო საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. მით უფრო, რომ რუსეთი სომხეთის ეკონომიკას მთლიანად აკონტროლებდა. ასეთ შემთხვევაში, საუბარი საქართველოს სწრაფვაზე ევრო-ატლანტიკური ვექტორისკენ სასაცილო იქნებოდა.

ცნობილია ისიც, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ თავის დროზე პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურისგან სტრატეგიული ობიექტების გასხვისებასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება მოითხოვა. **„ყველა სტრატეგიული სახელმწიფო ობიექტი არის ხალხის და არა რომელიმე ხელისუფლების ან კონკრეტული პოლიტიკური პარტიის საკუთრება“,** — წერდა ალასანია გილაურს და ამ ობიექტების გასხვისებას აპროტესტებდა.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ვაჟა ბერიძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ წინა ხელისუფლება აშენებდა ნეოლიბერტარიანულ სისტემას, რომლისთვისაც სტრატეგიული ობიექტები გამორიცხული იყო. აქედან გამომდინარე, ბენდუქიძის ცნობილი თეზა, ყველაფერი იყიდება სინდისის გარდა, მოქმედებდა ამ სფეროზეც და ყველა ობიექტი შეიძლება გაყიდულიყო. თუმცა, მაშინაც კი არსებობდა ჩამონათვალი იმ ობიექტების, რომელთაც არ უნდა შეხებოდა პრივატიზაცია, მაგალითად, ასაფრენ-დასაფრენი ზოლები და სხვა. მიუხედავად ამისა, არც ერთი ობიექტი არ განიხილებოდა, როგორც სტრატეგიული. ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყანას, რომელსაც არ აქვს სტრატეგიული ობიექტები, არა აქვს სტრატეგიული ინტერესებიც და, აქედან გამომდინარე, მისთვის ქვეყნის სუვერენიტეტი არ არის რაიმე ღირებულება. ამ თვალთახედვით, ექსპერტის აზრით, ღარიბაშვილის გადაწყვეტილება სტრატეგიულ ობიექტთა ნუსხის შექმნის შესახებ მართებულია.

**„თუმცა გააჩნია, რას მოიცავს ეს სტრატეგიული ობიექტები, რა შევა მასში, რამდენად ფართო იქნება სტრატეგიული ობიექტების ნუსხის წრე, როგორი იქნება დამოკიდებულება ამ ობიექტების მიმართ, რას ნიშნავს ევროკავშირისკენ ჩვენი სვლის პარალელურად, ასეთი ობიექტების ნუსხის შემოღება. გარკვეული თვალსაზრისით, ფოთის პორტიც სტრატეგიული ობიექტია, მაგრამ რეალურად იგი უკვე გაყიდულია. ამიტომ, ცოტა დაგვიანებული შეიძლება აღმოჩნდეს ამ კანონპროექტისადმი დაბრუნება“,** — აღნიშნა ვაჟა ბერიძემ.

ექსპერტი ვახტანგ მაისაია მიიჩნევს, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელი პირველი ტიპის ობიექტები — ენერგეტიკა, სატრანზიტო ტიპის (პორტი, აეროპორტი) და ენერგეტიკული ობიექტები განსაზღვრავს ქვეყნის გეოპოლიტიკური განვითარების პერსპექტივებს. ეს ობიექტები მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც სახელმწიფო საიდუმლოების მქონე სამხედრო, თავდაცვითი და უსაფრთხოების დანიშნულების ტიპის ობიექტები.

**„კახა ბენდუქიძის პრივატიზებიდან გამომდინარე, წინა ხელისუფლება ამით არ იყო დაინტერესებული, ის ატარებდა ჩუბაისისეულ შიშველი კაპიტალიზმის პოლიტიკას, რამაც რუსეთი თვითონ დაღუპა, ბენდუქიძემ იგივე შემოგვიბრუნა ჩვენ, ეს იყო მარაზმი და იდიოტიზმი. წინა ხელისუფლება ფულის კეთების მეტს არაფერს აკეთებდა. საბჭოთა კავშირი იქნება, დამოუკიდებელი საქართველო თუ აფრიკაში უგანდის სახელმწიფო, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები. ამასთან, ყველა ქვეყანას თავისი გეოპოლიტიკური განვითარების სხვადასხვა პარამეტრები აქვს“,** — აცხადებს ვახტანგ მაისაია ჩვენთან საუბარში.

**ცნობისთვის: სტრატეგიულ ობიექტთა ჩამონათვალს სპეციალური სამთავრობო კომისია შექმნის. თავის დროზე ამ ჩამონათვალის 21-პუნქტიანი ნუსხა არსებობდა, სადაც მაგისტრალურ ნავთობსადენთან თუ გაზსადენთან ერთად შედიოდა ხიდები, გვირაბები, აეროპორტი, საკონცერტო და სამაყურებლო, სპორტული თუ სამედიცინო დაწესებულებები. 2008 წელს კი მთავრობამ ნუსხა შეამცირა და 5 პუნქტამდე დაიყვანა. განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონებაში შევიდა მხოლოდ სენაკისა და მარნეულის აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, ფოთის ახალი ნავსადგური (შუქურა, შუქნიშნები, აკვატორია), ბათუმის საზღვაო ნავსადგურის შუქურა, შუქნიშნები და აკვატორია.**

**მარიამ ლოლაშვილი**

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● ვინც კი წყალში არ იძირება, ყველას სამოქალაქო სექტორში ვიხილავთ მალე და დემოკრატიის გაკვეთილებს ჩაგვიტარებენ ხოლმე.

● ახალი უკანალში პერო ტენდენცია ქართულ მედიასივრცეში — სოლიდარობის ნიშნად ტიმოშენკოს ვარცხნილობით გადაცემის წაყვანა. იმედია ჩვენ რო დაგვარბევენ, კაკ მინიმუმ ქუცნაშვილის პრიჩოსკით წაიყვანენ გადაცემებს უკრაინელი ჟურნალისტები.




● პარადოქსების ქვეყანაში ვცხოვრობთ — მიშკუტები ბერკუტს თათხავენ.

● რატომ ჰგონია ამ ხალხს, რომ თუ ია ფარულავა ლურჯ-ყვითელ კაშნს გაიკეთებს, უკრაინის და საქართველოს ევროინტეგრაციას მეტი მომხრე ეყოლება?

რატომღაც მგონია, რომ პირიქით მოხდება და ხალხი იტყვის, იმ კავშირში რა მინდა, სადაც ფარულავას და ნასარიძეს მიუხარიაო?

● მსჯელობს და მსჯელობს, იხილავენ და იხილავენ, დებატობენ, არ სთმობენ არც ერთ სიტყვასა და მძიმეს.... თავს იმტვრევს ქართული პარლამენტი: რა მიმართვა გაუკეთონ უკრაინას საქართველოს სახელით.

ბევრო ჩემთვის საპატივცემულოვ და ცოტაც მისაწუწებლებო: მომიტევეთ, მაგრამ მაგრა ახატია ერთსა და მეორე მხარესაც აქ რა მიმართვასაც გააკეთებთ, იქნებ რამე უფრო ისეთზე გემსჯელათ, რაც აქ ხდება და თქვენ გადაწყვეტას საჭიროებს?

● კობა ხაბაზი, ნუგზარ წიკლაური და გაბაშვილი (მლადშოი) მომიტინგეებსა და ბერკუტს შორის ჩამდგარან და მიუმართავთ ბერკუტისთვის: ჯერ დედებს გვესროლეთ!!!

აქვითინებულმა ბერკუტმა ბრძოლისუნარიანობა დაკარგა.

● რაზე ვკაიფობ იციით? უკრაინელ ხალხს ბრძოლისკენ ის ტიპები რო მოუწოდებენ, 2008 წლის აგვისტოში წითელ ხიდზე, საკუთარ ჯიპებს რო ასწრებდნენ და მეორე ნაწილი კიდო ბორისოვის ჩექმას რო წმენდდა დილაობით.. ბრმები ხო არ გგონივართ?

● უნა-უნსოს ბიჭები იბრძოდნენ აფხაზეთში 1992-93 წლებში ჩვენი ქვეყნის ერთიანობისთვის გუმისთის, აჩადარას, შრომის, კამანის და სოხუმის ფრონტზე და ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს!

ამოკრიბა

**გია გაბრიჭიძემ**

ალიან-ჩალიანი

# ნახევარ მილიონზე მეტი კლიპებსა და ახალი ამბების მომსახურებაში

**თბილისის მერია 600 000 ლარს ახალი ამბების მომსახურებასა და სარეკლამო კლიპების განთავსებაში ხარჯავს, — ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლების“ თავმჯდომარემ გიორგი ჭულუხაძემ განაცხადა.**




მისი თქმით, ორგანიზაციამ განახორციელა მოკვლევა, რომლის საფუძველზე დადგინდა, რომ 565 000 ლარიდან, რომელიც სარეკლამო კლიპების განთავსებაზეა მიმართული 52 917 ლარის რეკლამაა უკვე განთავსებული ტელეკომპანიებში - „რუსთავი 2“, „იმედი“ და „მაესტრო“. ჭულუხაძის ინფორმაციით, „რუსთავი 2“-ზე რეკლამის განთავსების ბიუჯეტი 24 735 ლარს, „იმედზე“ — 21 969 ლარს, ხოლო „მაესტროზე“ — 6 213 ლარს შეადგენს. ხელშეკრულების შემსრულებელია შპს „თბს ტვ სტუდია“. ხელშეკრულება ძალაში მიმდინარე წლის 10 იანვარს შევიდა და მისი მოქმედების ვადა 31 დეკემბრამდეა.

— სარეკლამო რგოლი, რომელიც სამივე არხზე საინფორმაციო გამოშვების დროს გადის ეთერში, ქალაქში მოსალოდნელი საფრთხეების წარმოჩენას ემსახურება. თბილისის მერია სარეკლამო რგოლით მოსახლეობას ამზადებს, რომ ქალაქში უახლოეს მომავალში შეიქმნება სხვადასხვა პრობლემები, ნაცვლად იმისა, რომ 53 000 ლარი დედაქალაქის დასუფთავებას და სხვა საკითხებს მოახმაროს, — აღნიშნა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა.

მისივე თქმით, თბილისის მერიას ამ მომენტისთვის გამოცხადებული აქვს ტენდერი, რომელიც ითვალისწინებს თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრის „ბიგ ბენდისთვის„ სხვადასხვა აპარატურისა და აქსესუარების შესყიდვას. ამ აპარატურის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 194 270 ლარს შეადგენს.

— ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ავტობუსების ტენდერის შეჩერება, რომელმაც როგორც თბილისელებს, ასევე თავად ამ ტენდერში მონაწილე ბიზნესკომპანიებს შეუქმნა პრობლემები, დედაქალაქის მოსახლეობის აღშფოთებას ემსახურება. მიგვაჩნია, რომ თბილისის მერიის საქმიანობა საჭიროებს დაუყოვნებლივ შესწავლას, რათა დედაქალაქის მთავრობას თანხების არამიზნობრივად განკარგვის საშუალება არ მიეცეს, — აღნიშნა გიორგი ჭულუხაძემ.

ორგანიზაცია მოუწოდებს აუდიტის სამსახურს დაინტერესდეს თბილისის მერიის საქმიანობით.

ინტერპრესი

უკრაინა: მძიმე სამოქალაქო დაპირისპირება

# დასავლეთს რუსეთის წინააღმდეგ მოქმედების შნო არა აქვს



**საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ უკრაინას ჰყავს თავისი არჩეული ხელისუფლება და ასე, პირდაპირ მის შიდა საქმეებში საქართველო ვერ ჩაერევა. პარლამენტის თავმჯდომარე უკრაინის ხელისუფლებას და ოპოზიციას მოუწოდებს, საკითხი ხალხის საკეთილდღეოდ გადაწყვიტონ. უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა სპეციალური რეზოლუცია მიიღო. თუმცა, ყოფილი მმართველი გუნდი და არასამთავრობო სექტორი ხელისუფლებას მკვეთრად გამოხატული პოზიციის დაფიქსირებისკენ მოუწოდებენ.**

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე განმარტავს, რომ ჩვენ გვაქვს მაგალითი, რა შედეგი მოჰყვა ყოფილი ხელისუფლების წევრების მიერ უკრაინაში მიმდინარე პროცესებში ჩარევას. პოლოტოლოგი ამბობს, რომ არ ესმის რატომ არ აცნობიერებენ ამას არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.**

**For.ge რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

**— უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ უფრო მკვეთრი პოზიცია დააფიქსირონ. როგორც ევროპა და აშშ, საქართველოს ხელისუფლებაც უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა. განცხადების გარდა, რა ფორმით უნდა ჩაერიოს ხელისუფლება მიმდინარე პროცესებში?**

— თქვენ ახსენეთ ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები. მათ ერთი საერთო ნიშანი აქვთ, ქვეყნის ბედ-იღბალზე ისინი პასუხისმგებლები არ არიან. იმისთვის, რომ ხელისუფლებისგან მოითხოვო რამის შესრულება, უნდა ჩადგე ხელისუფლების როლში და გაითვალისწინო, რომ ასეთი მოთხოვნის შესრულების შემდეგ შეიძლება ქვეყანასთან გაგიფუჭდეს ურთიერთობა, თუ იმ ქვეყნის სათავეში დარჩა დღევანდელი უკრაინის ხელისუფლება. ანუ, საგარეო პოლიტიკის რაღაცა დიდი სეგმენტი, შეიძლება ამით გასწირო, რისი უფლებაც ქვეყანას არა აქვს.

უკრაინა ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში. ანალოგიური მოტივაციით ხელმძღვანელობენ თქვენს მიერ ნახსენები ევროპელი პოლიტიკოსები, როდესაც ისინი ძალიან ფრთხილად ეპყრობიან შეფასებებს. არ სურთ ისეთი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა, რომელიც მერე უკუქცევადი აღარ იქნება. ვთვლი, რომ ასევე მისასალმებელია ის თავშეკავებულობა, რომელიც თავიანთ შეფასებებში გამოამჟღავნეს როგორც მსოფლიოს, ასევე ქართული პოლიტიკის წარმომადგენლებმა.

**— შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლების განცხადება გაცილებით მკვეთრი იყო, ვიდრე დასავლელი ლიდერების, სადაც სიფრთხილე იგრძნობა. მეტიც, საქართველოს პარლამენტმა სპეციალური რეზოლუციაც მიიღო...**



— ხელისუფლება, ისევე როგორც ევროპული ქვეყნები, არ აფიქსირებს იმას, თუ ვის მხარეზეა. ის, რომ მიმდინარე პროცესები ტრაგიკულად ვითარდება, ამაზე სინანული გამოთქვეს ევროპელებმაც და ქართველებმაც, მაგრამ პოზიცია ვინ მართალია და ვინ მტყუანი, არც ერთს არ დაუფიქსირებია. ამ პარალელს იმიტომ ვავლებ ევროპელებთან, რომ საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობისთვის ეს მიუღებელია, რადგან რეალურად, შიდა პროცესებში ჩარევას გულისხმობს.

**— უკრაინაში მიმდინარე პროცესები ავტომატურად იმოქმედებს თუ არა სოჭის ოლიმპიადაზე?**

— ალბათ, გავლენას იქონიებს. ნებსით თუ უნებლიედ, უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობა რუსეთზე გადადის. თვითონ უკრაინაც რუსეთს იმიზეზებს. რაც შეეხება იმას, რა არის ამ მოვლენების საფუძველი — ევროპული ორიენტაცია — ვისურვებდი, რომ აქ მაინც უფრო რთულ ინტერპრეტაციისკენ წასულიყო მკითხველი. ევროპულ ორიენტაციაზე დიდი აქცენტი ჰქონდა სააკაშვილს, მაგრამ საპროტესტო ტალღა და ისეთივე, როგორიც ახლა უკრაინაშია, იყო საქართველოშიც. სააკაშვილი იქცეოდა სწორედ ისე, როგორც დღეს იქცევა იანუკოვიჩი და ამით პროტესტი არ შენელებულა.

გარდა ამისა, ის, რაც იანუკოვიჩს და სააკაშვილს აერთიანებს, არის მმართველობის სტილი, ორიენტაციაში განსხვავებული არიან, მაგრამ მმართველობის სტილში ორივე დიქტატორია. გამორიცხული არაა, რომ ევროპულ ორიენტაციაზე მეტად უკრაინული საზოგადოების რეაქცია უკავშირდებოდეს იანუკოვიჩის დიქტატურას და ამიტომ არის პროცესები ასეთი მძაფრი. მით უმეტეს, რომ ამ პროცესებში იანუკოვიჩი სავსებით ამართლებს არადემოკრატიულობას. ეს პროცესები რაც უფრო ტრაგიკულად დამთავრდება, მით უფრო სწრაფად დამთავრდება იანუკოვიჩის პოლიტიკური პრესპექტივები. არა მარტო ინაუკოვიჩია არაპერსპექტიული დღევანდელ უკრაინაში, არამედ რუსეთიც ნაკლებად მიმზიდველი გახდება უკრაინისთვის, ვიდრე აქამდე იყო.

**— თუმცა, მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც რუსეთზე არის ორიენტირებული...**

— თუ კიდევ უფრო გამოიკვეთა ამ პროცესებში რუსეთის პასუხისმგებლობა, ალბათ, რუსეთის პრესპექტივაც ძალზედ შეიზღუდება იმ სივრცეში, რასაც უკრაინა ჰქვია. ასე მეჩვენება მოვლენების განვითარება. კონკრეტულად, ჩაიკეტება თუ არა საპროტესტო ტალღა, ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ საღი აზრის დონეზე, სწორედ იანუკოვიჩს და რუსეთს უნდა აწყობდეს პროცესების ნორმალური დემოკრატიული გადაწყვეტა. ამ შემთხვევაში, მათი პოლიტიკური იმიჯი ნაკლებად უარესი იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ისევ ჩექმით და რეზინის ხელკეტებით გაარძელებენ ამ პროცესებს.

**— იზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ უკრაინასთვის ბრძოლაში მზად არ აღმოჩნდა ევროპა და რუსეთი გაცილებით მყარად დგას, ვიდრე ევროპა?**

— ძალიან მნიშვნელოვანი თემაა დასავლეთი და რუსეთი. ის, რაც წითელ ხაზად გასდევს პუტინისეულ პოლიტიკას, ეს უკომპრომისობაა დასავლეთთან ურთიერთობაში. ამ უკრომპრომისობის შედეგი იყო 2008 წლის ომი და იქ დაანახვა მსოფლიოს ყველაზე მკაფიოდ რუსეთმა, რომ დასავლეთს რუსეთის წინააღმდეგ მოქმედების შნო არ აქვს.

ეს გრძელდება სხვადასხვა სახით, სხვადასხვა დაპირისპირებაში და მათ შორის უკრაინის დაპირისპირებაში. ლაპარაკი იმაზე, რომ დასავლეთი შეაჩერებს რუსულ ზეწოლას ამ პროცესში, ცოტა გულუბრყვილოა. შეიძლება პირიქით, უფრო გააღიზიანოს რუსეთი. ერთი რამ ცხადია, რომ დღევანდელი დღის პრესპექტივით არის ბევრი ის ნაბიჯი გადადგმული, რაც შორეულ პერსპექტივაში წამგებიანი იქნება რუსეთისთვისაც.

**— იმ შემთხვევაში, თუ რუსეთმა უკრაინული პროცესით მიიღო მისთვის სასურველი შედეგი, ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა ანალოგიური სცენარი აამოქმედოს საქართველოშიც?**

— იმ შემთხვევაში, თუ რუსეთმა უკრაინული პროცესით მიიღო მისთვის სასურველი შედეგი ისე, რომ არანაირი მძიმე დანაკარგი არ ექნება, გნებავთ ევროპული, გნებათ უკრაინული მიმართულებით, თუ რუსეთს ასეთი თავხედობა არაფრად დაუჯდა, მაშინ ამ თავხედობას საქართველოს მიმართაც გაიმეორებს. მაგრამ თუ უკრაინულმა პროცესებმა რუსეთს ძვირი გაუხადა ეს ჩარევა, მისთვის არასასურველი დანაკარგები ნახა, მაშინ მეეჭვება, რომ საქართველოს მიმართ ასეთი პირდაპირი და უხეში ზეწოლა გაიმეოროს. ასე რომ, უკრაინაში მიმდინარე პროცესებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, როგორ განვითარდება მოვლენები.

**— შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირება სამოქალაქო ომში გადაიზარდოს?**

— სახეზეა ძალიან მძიმე სამოქალაქო დაპირისპირება ხელისუფლებასთან. თუ ოპოზიცია იარაღს იშოვის, როგორც არაბულ ქვეყნებში, შეიძლება სამოქალაქო ომშიც გადაიზარდოს. თუმცა, არა მგონია რომელიმე ქვეყანამ მოისურვოს უკრაინული ოპოზიციის იარაღით აღჭურვა, ასევე არა მგონია, რომ თვითონ ოპოზიციამ მოისურვოს იარაღის აღება. ეს მისთვის პოლიტიკურად წამგებიანი იქნება.

**თამთა ქარჩავა**

რასაცა გასცემ...

# „შერატონის" თეთრეული — ლოგინს მიჯაჭვული მოხუცებისთვის

## სოციალური თანადგომის კარგი მაგალითი

**თუ დავფიქრდებით, ათასობით ადამიანი ყოველდღიურად ყრის ნაგავში ჩასაცმელსა თუ სხვა მოხმარების საგნებს, მაშინ, როდესაც უამრავი ხელმომჭირნედ მცხოვრები საჭიროებს მას. წელიწადნახევრის წინათ დაარსდა ფონდი „სოციალური პარტნიორობა", რომლის მიზანი სწორედ ისეთი ქველმოქმედებაა, როცა უკვე გამოყენებული, თუმცა კი, გამოსადეგი ნივთები, რომელიც აღარ წარმოადგენს საჭიროებას ერთისთვის, მოახმაროს მეორეს, რომელსაც ის აუცილებლად ესაჭიროება. მიზანი და იდეა მართლაც რომ კარგია და გაამართლა კიდევაც.**

**„სოციალური პარტნიორობა"** ეხმარება მრავალშვილიან ოჯახებს, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, საწოლს მიჯაჭვულ ხანდაზმულებსა და მსგავსი სოციალური კატეგორიის ადამიანებს. ამ ხალხის ცხოვრების შესამსუბუქებლად, ფონდს თანადგომა გაუწიეს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიც არიან: „შერატონ მეტეხი პალასი", „რუმს ჰოტელი", ფარმაცევტული კომპანია „ეი ბი სი ფარმა" და სხვა. მათი დახმარებით ფონდის წარმომადგენლებმა შეძლეს, განსაკუთრებით გაჭირვებული ადამიანები მოემარაგებინათ თეთრეულით, პირსახოცით, ტკბილეულით, წამლებით... ზოგადად, ფონდი ახორციელებს შემდეგ საქველმოქმედო პროგრამებს — შინ მოვლა, მცირე საოჯახო ტიპის სახლებით უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების ფულადი დახმარება.

ფონდის სოციალური მუშაკები და ექთნები ყოველდღიურად, უქმეებისა და დღესასწაულების ჩათვლით, სამასზე მეტ მწოლიარე და შეზღუდული გადაადგილების მქონე მოხუცს ეხმარებიან უსასყიდლოდ, ამარაგებენ მედიკამენტებითა და სურსათით. ხშირად, ფონდის თანამშრომლები ამ ადამიანებისთვის გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი წყარო არიან.

ფონდის პრეზიდენტი **გიორგი ქვრივიშვილი** მადლიერებით მოიხსენიებს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც უანგაროდ დაუდგნენ მხარში „სოციალურ პარტნიორობას" და იმედოვნებს, რომ მომავალში სხვა კომპანიებიც აქტიურად შეუერთდებიან ასეთ საქველმოქმედო აქციებს.

**„ჩვენი ფონდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სხვა ორგანიზაციების თანადგომა. მინდა, თხოვნით მივმართო ყველა დაწესებულებას და ყველა არაგულგრილ ადამიანს, რათა დაეხმარონ ჩვენი ფონდის ბენეფიციარებს ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებებით, რადგან მხოლოდ ერთად თუ შევუმსუბუქებთ ამ გაჭირვებულ ხალხს ცხოვრებას!",** — აღნიშნა მან.

ამას წინათ საერთაშორისო ქსელ „შერატონის" წარმომადგენლობამ საქართველოში „შერატონ მეტეხი პალასიმ" „სოციალურ პარტნიორობას" აბსოლუტურად უსასყიდლოდ გადასცა თეთრეული ხანდაზმულებისთვის. **„გუწლრფელ მადლობას ვუხდით სასტუმროების ქსელ „შერატონს" იმ თანადგომისთვის, რომელიც გაუწია ჩვენს ბენეფიციარებს. სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესი — ეს საზოგადოების განვითარების თანამედროვე ტენდენციაა მთელ მსოფლიოში. ჩვენ გვჯერა, რომ უკეთესობისკენ შეგვიძლია შევცვალოთ გაჭირვებული ხალხის ცხოვრება და იმედი მივცემთ მათ!",** — განაცხადა „სოციალური პარტნიორობის" პრეზიდენტმა.



ფონდის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.fsp.ge

**ნია ფიფია**

გვწერენ

# „ადამიანებო, გაუფრთხილდით ერთმანეთს!! სიცოცხლე ხომ ისედაც ხანმოკლეა“!!!

## ერთი მიზანმიმართულად სახელგამტეხი კამპანიის გამო



**პატივცემულო რედაქცია, უწინარესად, მინდა, გამოვხატო თქვენი გაზეთის მიმართ დიდი პატივისცემა და გთხოვთ, რომ გამაკეთებინოთ კომენტარი გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2013 წლის 23 დეკემბრის №51 გამოქვეყნებულ სტატიაზე: „ადამიანებო, უფრთხილდით გურამ ქარაზანაშვილსა და მის კლინიკას“!, სადაც უაღრესად შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიება საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ქარაზანაშვილი.**

იმიტომაც გაწუხებთ, რომ ეს გამოხმაურება გავგზავნე „ასავალ-დასავალის“ რედაქციაში, მაგრამ არ გამომიქვეყნეს. ხოლო, როდესაც ვნახე, რომ ეს გაზეთი თავის ვებგვერდზე განაგრძობს არა მარტო გურამ ქარაზანაშვილის, არამედ მისი კლინიკის დისკრედიტაციას და წარმოუდგენელ სიტყვიერ ჭორებსაც ავრცელებს, თქვენ მოგმართავთ თხოვნით, რომ გამოაქვეყნოთ ეს გამოხმაურება. მე თქვენი გაზეთის რესპონდენტი ვარ და ხშირად დაბეჭდილა ჩემი ინტერვიუები სხვადასხვა საკითხზე.

მე ჟურნალისტი არა ვარ და არ შემიძლია, სიტყვაკაზმულად გამოვხატო ის გრძნობა, რაც ზემოთ აღნიშნული სტატიის წაკითხვის შედეგად დამეუფლა. რატომ ვართ ადამიანები ასეთი აგრესიულები და რად არ ვერიდებით სხვა ადამიანის და, მით უმეტეს, საქვეყნოდ აღიარებული პროფესიონალის შეურაცხყოფას?! ჟურნალისტ დიტო ჩუბინიძის სტატიაში, მსუბუქად რომ ვთქვათ, უარყოფითად არის მოხსენიებული „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების კლინიკა“ (კლინიკა, სადაც მუშაობს პროფესორი გურამ ქარაზანაშვილი). რა შუაშია „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების კლინიკა“?! ამ კლინიკაში ხომ სხვა მაღალპროფესიონალი ექიმებიც მუშაობენ? შეურაცხყოფილია 130-მდე კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი! რაც შეეხება პროფესორ გურამ ქარაზანაშვილს, ის მსოფლიოში აღიარებული უროლოგია. მისი სამეცნიერო ნაშრომები ქვეყნდება მსოფლიოს ცნობილ სამედიცინო ჟურნალებში, არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ამ წერილის ავტორი, თითქმის კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მიმიყვანეს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების კლინიკაში“, და რომ არა გურამ ქარაზანაშვილი, რომელმაც გამიკეთა ურთულესი ოპერაცია, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი.

სტატიის ავტორმა, ცნობილმა ჟურნალისტმა დიტო ჩუბინიძემ მაპატიოს, რომ ვერ ვუწონებ მსოფლიოში აღიარებულ პროფესორზე, რომელიც ამერიკისა და ევროპის უროლოგთა ასოციაციების წევრია, იხმაროს სიტყვები „ყასაბ-ექიმი“, „ძალად მაცხონე პროფესორი“.

მესმის და თანავუგრძნობ დაზარალებულ შოთა კაპანაძეს. ვიცი, რა ძნელია ოპერაციისშემდგომი პერიოდი, მით უფრო მაშინ, როდესაც შედეგი არ არის ისეთი კარგი, როგორსაც ველოდით, მაგრამ ეს ზიანი მას ხომ სხვა კლინიკაში მიადგა! გურამ ქარაზანაშვილი და მისი კლინიკა კი ცდილობდა სხვისი მიყენებული ზიანის გამოსწორებას, და თუ ეს არ მოხერხდა, ისიც ქირურგისაგან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზების გამო!

ხომ არ შეიძლება ასე ხელაღებით უმაღლესი კლასის პროფესორის და კლინიკის ლანძღვა და, მით უმეტეს, ასეთი სტატიის წერა მაღალი კლასის პროფესიონალი ჟურნალისტის მიერ?! წერილის ბოლოს მინდა, მოვუწოდო ყველას: **„ადამიანებო, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!! სიცოცხლე ხომ ისედაც ხანმოკლეა“!!!**

**ანზორ მესხიშვილი,**
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

მუდმივი კავშირის სამყარო



# „გამარჯვების მჯეროდა, თუმცა, ჯერ ბილეთიც არ მქონდა“

## მაგთიკომმა გათამაშების იღბლიანებს პრიზები გადასცა

**მაგთიკომის საახალწლო გათამაშებამ უზომოდ დიდი სიხარული მოჰგვარა სამ აბონენტს. დასახელებული პრიზები: 100 ათასი ლარი, ბინა ლისი ვერანდაზე და 2014 წლის „Range Rover Sport“ მოგების საკმაოდ „მადისაღმძვრელ“ სურვილს წარმოშობდა მაგთის აბონენტებში. გათამაშების დოლურაში მოთავსებული ბილეთების რაოდენობა, რომელიც ლამის 2 მილიარდი იყო, იმაზე მიანიშნებდა, რომ ბევრი ოცნებობდა მიმზიდველ პრიზებზე, თუმცა, იღბლიანები თავად ფორტუნამ გამოავლინა.**

გამარჯვებულებს მაგთიმ თბილისის რუსთაველის გამზირზე მდებარე მომსახურების ოფისში კუთვნილი პრიზები გადასცა. იღბლიანები, ბუნებრივია, ბედნიერებისაგან გამოწვეულ ემოციას ვერ მალავდნენ.

* * *

**მადონა მართალიშვილი:** ქობულეთიდან ვარ. იქა მაქვს სახლ-კარი, თუმცა, ბინა ლისი ვერანდაზე მართლაც რომ ღვთის საჩუქარია. ორი ვაჟიშვილი მყავს და მეორე საცხოვრებელი ნამდვილად გვჭირდებოდა. როგორც კი გავიდა ეთერში მაგთის წამახალისებლი გათამაშების რეკლამა, გულში გამკრა, შინაგანად აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ რაღაცას მოვიგებდი, თუმცა, ჯერ ბილეთიც კი არ მქონდა. იმ დღეს მე და ჩემი პატარა ბიჭი სტუმრად ვიყავით წასულები, რატომღაც გამომრჩა გათამაშების დრო. ტელევიზორი რომ ჩავრთეთ, უკვე მოგებული ჰქონდათ სხვა პრიზები და ბინა იყო დარჩენილი. ჩემი ოჯახის წევრები თურმე უყურებდნენ ტელევიზორს, იცნეს ჩემი ხმა, მაგრამ სანამ არ დავურეკე, არ სჯეროდათ...

მართალია, ბინა ჯერ გასარემონტებელია, მაგრამ ჩემი სამომავლო გეგმები აბსოლუტურად შეიცვალა. დიასახლისი ვარ. ჯერჯერობით არ ვგეგმავთ თბილისში ცხოვრებას, თუმცა, ვნახოთ, შემდეგ როგორ წარიმართება საქმე. ძალიან ბედნიერი ვარ. მადლობა მაგთიკომს, ამ წუთების ჩუქებისთვის. ყველას ვუსურვებ ასეთ არაჩვეულებრივ განწყობას.

**რობი დილმელიშვილი:** – გურჯაანიდან ვარ. არანაირად არ მიფიქრია, რომ პრიზიორი ვიქნებოდი. როცა დამირეკეს, ქუჩაში ვიყავი გამოსული მეგობრებთან ერთად. მანქანა მოიგეო, – თავიდან არც მჯეროდა. ბუნებრივია, როგორც ყველა ახალგაზრდის ისე, ჩემი ოცნება მანქანა იყო, თანაც როგორი. არასოდეს მყოლია ავტომანქანა... უზომოდ გამიხარდა.

**თამარ ცელაძე:** – თითქმის წელიწადია, რაც მაგთის აბონენტი გავხდი, პორტირებული ნომერი მაქვს. ერთხელაც ვიყავი იღბლიანი, ერთ-ერთი ჟურნალის კონკურსში გავიმარჯვე და 10 ათასი ლარი მოვიგე. ოზურგეთში ვმუშაობ ექიმად. თავიდან ჩემი ნომრის დასაწყისი მეცნო და როცა ჩემს ტელეფონზე მაგთის ნომერი დაიწერა, თავბრუ დამეხვა, ენა ჩამივარდა, სიტყვა ძლივს წარმოვთქვი... დაახლოებით 6 თუ 9 ბილეთი მქონდა, ზუსტად არც ვიცი. ყველანი შინ ვიყავით: მეუღლე, დედამთილი, მამამთილი. შვილი ჯერ არ მყავს. 100 ათასი ლარი უდავოდ შეცვლის ჩემს ცხოვრებას... უბედნიერესი ვარ და მადლობა მაგთის ამისთვის.



* * *

**როგორც** ვიცით, მაგთიკომი ყოველთვის გამორჩეული არის ხოლმე წამახალისებელი გათამაშების სიუხვით. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, 99 „მერსედესი“ აქვს გათამაშებული. ამჯერად საპრიზო ფონდი ნახევარ მილიონს შეადგენდა. როგორც „მაგთიკომის“ პრეზიდენტმა **დევიდ ლიმ** აღნიშნა, კიდევ ბევრი სიურპრიზი ელოდება აბონენტებს. **„წამახალისებელი ლატარიის მიზანი ის არის, რომ ასე გადავუხადოთ მადლობა ჩვენს აბონენტებს ერთგულებისთვის, იმისთვის, რომ ისინი ირჩევენ ჩვენს ქსელს, როგორც შეუფერხებელი კავშირის გარანტს, იაფს, მარტივსა და ხელმისაწვდომს. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ასეთი ნდობისთვის ჩვენს მომხმარებელს!“,** – განაცხადა მან.

**თეა მოსია**

გამოძიება გრძელდება

# დათა ახალაიას ბრალი დაუმძიმდა

**საქართველოს** მთავარმა პროკურატურამ მოქალაქეების, ვამეხ აბულაშვილისა და კახა დაბრუნდაშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთის, მათ მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, კუდ-ის მეხუთე სამმართველოს ყოფილი უფროსი ვალერიან მეტრეველი დააკავა.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პროკურორმა კონსტანტინე კაციტაძემ განაცხადა, ბრალდების შესახებ გამოტანილია დადგენილებები ყოფილი მაღალჩინოსნების, კუდ-ის ყოფილი უფროსის დავით ახალაიას და კუდ-ის პირველი სამმართველოს ყოფილი უფროსის გერონტი ალანიას მიმართ.

პროკურორის განცხადებით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2005 წლის სექტემბერში, ვინმე დათო, გაცნობისა და ურთიერთობის მიზნით მობილურ ტელეფონზე უკავშირდებოდა ვამეხ აბულაშვილის მეგობარ გოგოს, რაც ვ. აბულაშვილთან სიტყვიერი სატელეფონო შელაპარაკების მიზეზი გახდა.

ხსენებული დათო შემდგომში აღმოჩნდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დავით ახალაია. ამ საუბრიდან მალევე, 5 ოქტომბერს, ვამეხ აბულაშვილს მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელი ვალერიან მეტრეველი და წინასწარ შეთხზული მიზეზით იმავე დღეს, შეხვდა ვამეხ აბულაშვილს, რომელსაც ახლდა მეგობარი კახაბერ დაბრუნდაშვილი. შეხვედრისას ვალერიან მეტრეველმა სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად, ისინი ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე, ფიზიკური ძალის გამოყენებით ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს სოფელ ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მათ დახვდნენ: დათა ახალაია, გერონტი ალანია და მათთან ერთად მყოფი ათამდე შეიარაღებული გამოძიებით დაუდგენელი პირი.

დათა ახალაიამ შურისძიების მოტივით, მის წინაშე იძულებით მუხლებზე დაჩოქილ მდგომარეობაში მყოფ ვამეხ აბულაშვილს, სახის არეში ფეხი დაარტყა, რის შემდგომაც ახალაიამ მის თანმხლებ პირებთან ერთად მათი უმოწყალოდ ცემა დაიწყეს. მას შემდეგ, რაც მათ გული იჯერეს აბულაშვილის ცემით და დამცირებით, ახალაიამ გადატენა ცეცხლსასროლი იარაღი და დაჩოქილი აბულაშვილის და მისი მეგობრის დაბრუნდაშვილის მიმართულებით ჰაერში გაისროლა. ასევე, ახალაიამ კატეგორიულად გააფრთხილა ისინი, რომ მომხდარი ფაქტის გახმაურების შემთხვევაში, მათ და მათი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელდებოდა ფიზიკური ანგარიშსწორება.

აქვე გაცნობებთ, რომ ხსენებული ფაქტი გამოვლენილი იქნა სანდრო გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის საქმის განახლებული გამოძიების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ, როგორც სანდრო გირგვლიანის, ისე ვამეხ აბულაშვილის შემთხვევაში დანაშაულის ადგილი იდენტურია, კერძოდ, ორივე შემთხვევა მოხდა სოფელ ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

საქმეზე გამოძიება გრძელდება. დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 15 წლამდე ვადით.

**ინტერპრესი**

# „მხედრიონი“ —

იმავდროულად (13-15 ნოემბერს) მაშველთა კორპუსმა დამატებითი შეიარაღებული ჯგუფები გადაიყვანა ზუგდიდში, სხვადასხვა ადგილას მოტაცებული „იკარუსებით“.

ჯერ კიდევ სამტრედიაში ყოფნისას — (ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში) — მაშველთა კორპუსის წევრთა დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთობ გამწვავდა. უკმაყოფილო მოქალაქეები საჩივრებით მიმართავდნენ მაშველთა კორპუსის ლიდერსა და საგანგებო მდგომარეობის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარეს ჯაბა იოსელიანს.

იმის ნაცვლად, რომ მოსახლეობის უფლებები და კანონიერი ინტერესები დაეცვა, მისთვის მონიჭებული რწმუნებები გამოეყენებინა და მაშველთა კორპუსის წევრთა უკანონო ქმედებები აღეკვეთა, ჯაბა იოსელიანი აცხადებდა, „ომი ომია, რაც თავად არის ყაჩაღობაო“, „ნაპოლეონიც კი აძლევდა თავის ჯარისკაცებს ქალაქის რამდენიმე დღით გაძარცვის უფლებასო“, „ომი ომია, აბა როგორ გინდათო“, „ბიჭები ტყვიაზე მიდიან, ესენი არიან საქართველოს გადამრჩენლები... თუ რამეს აიღებენ და ხელს გააყოლებენ, დიდი ამბავი არ არისო“, „პატარა ტელევიზორი თუ წაიღეს, დიდი ხომ დატოვესო“...

მისი ეს განცხადებები მოქალაქეების გარდა, მაშველთა კორპუსის წევრებსაც მშვენივრად ესმოდათ და შესაბამისი დასკვნებიც გამოჰქონდათ. ფაქტობრივად, ეს იყო წაქეზება, რაც დაუსჯელობის ატმოსფეროს ქმნიდა.

საინტერესო, დამახასიათებელი ეპიზოდი მოაქვს ბატონ გიორგი წიქარიშვილს თავის მრავალმხრივ საყურადღებო წიგნში „ჟამი ჭეშმარიტი“ (თბ. 2003 წ.):

**„ომი დასასრულს უახლოვდებოდა. სამთავრობო ჯარები და „მხედრიონი“ — ა.ა.) სენაკსა და ზუგდიდში შევიდნენ. საზარელმა ძარცვა-გლეჯამ აპოგეას მიაღწია.**

**სენაკის ერთ-ერთმა მცხოვრებმა იფიქრა, ეგებ ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიციამ გადამარჩინოსო და როცა მხედრიონელთა და კიტოვანის გვარდიელთა რაზმი მიადგა ვითომცდა სახლის დასათვალიერებლად (სინამდვილეში გასაძარცვად) — სუფრა გაუშალა.**

**დატრიალდა მეგრული ოჯახი „ბებიიდან-შვილიშვილამდე“. რა თქმა უნდა ისეთი სუფრა გაშალეს, ჩიტის რძე არ აკლდა.**

**ოჯახის უფროსს ისევ ეგონა, დავანამუსებ სადღეგრძელოებითა და ზრდილი სიტყვა-პასუხითო, მაგრამ ღვინით სავსე თუნგულის შემოსატანად რომ გავიდა, შემობრუნებისთანავე შენიშნა „სერვანტიდან“ ფაიფურის ჭურჭელს და ლარნაკებს ჩანთებში აწყობდნენ. ჯერ არ შეიმჩნია, მაგრამ თავხედურად, მის თვალწინ ტანსაცმლის კარადაში რომ დაიწყეს ქექვა (ოჯახის სადღეგრძელო უკვე შესმული ჰქონდათ), მორიდებით შეჰკადრა „რას შვებით, კაცო?“ „მოიცა თუ ძმა ხარ!“— იყო პასუხი.**

**შემდეგ სხვა უჯრების ამოტრიალება დაიწყეს. რა ექნა საბრალო მასპინძელს, ჩავიდა პირველ სართულზე და გულგასიებული, უხმოდ უსმენდა შეზარხოშებულ ნაძირალათა ღრეობას, ქონებას რას დაეძებდა: მეათეკლასელი გოგონები ჰყავდა და სად გაეპარებინა, არ იცოდა — მეზობლებთანაც იგივე ხდებოდა. ბოლოს საკუჭნაოში დამალა ანგელოზივით ქალიშვილები.**

**კიდევ იოლად გადარჩა“.**

1993 წლის 6 ნოემბერს ხობში სახელმწიფოს ხელმძღვანელ მუშაკთა ოპერატიული თათბირი გაიმართა.

ამ თათბირზე ჯაბა იოსელიანმა ერთი მოულოდნელი სვლა გააკეთა, რამაც საბოლოოდ დიდი გავლენა იქონია ზუგდიდის ბედზე.

მკაცრი, ავბედითი გავლენა...

უკვე ვთქვი: ადრე დამტკიცებული გეგმით ქ.ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის კომენდანტად, ფაქტობრივად შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკოლოგიური პოლიციის სამმართველოს უფროსი როლანდ ჩარგეიშვილი იყო დანიშნული.

ჯაბა იოსელიანმა მოულოდნელად კომენდანტის ახალი კანდიდატურა დაასახელა — რუსთავის „მხედრიონის“ უფროსის მოადგილე ზაზა პაიჭაძე.

და მიაღწია კიდეც მის დანიშვნას.

დანიშნა და მიახარა: „ზაზა, ერთი „მერსედესი“ შენზეაო“.

ახლა ძნელია თქმა, ეს ნართული მინიშნება იყო, თუ ჯაბასთვის ჩვეული ყურისმომჭრელი ხუმრობა, მაგრამ ადრესატმა ისე გაიგო, როგორც უნდა გაეგო.

მით უფრო, რომ თათბირის შემდეგ ჯ.იოსელიანმა, ახალგამომცხვარ კომენდანტისა და სხვათა გასაგონად ერთობ უცერემონიოდ განაცხადა, „ბიჭები მშივრები არიან, ტყვიაზე მიდიან და სამი დღე უნდა მივცე ქალაქიო“.

მისცა კიდეც.

ოღონდ არა სამი, არამედ მთელი ათი დღით.

**ინფორმაცია განსჯისთვის.** აღებულ ქალაქებს საძარცვად ლანდსკნეხტებს აძლევდნენ შუა საუკუნეების ევროპაში დაღვრილი სისხლის საფასურად, მაგრამ საკუთარ სამშობლოში, საკუთარ „ბიჭებს“ ასე წინასწარი განცხადებით საკუთარი ქალაქი აძარცვინო...!

ჯაბა იოსელიანის დავალებით, ზუგდიდის კომენდანტის მოადგილედ ვაჟა ქრისტესიაშვილი, ხოლო შტაბის უფროსად დოდო (დარეჯან) გუგეშაშვილი დაინიშნენ.

ასე და ამრიგად, ზუგდიდის კომენდა-



ტურა მთლიანად მაშველთა კორპუსის („მხედრიონის“) ხელში აღმოჩნდა.

ესე იგი მის ხელში აღმოჩნდა ქალაქსა და რაიონში არსებული ვითარების კონტროლი.

ხობში გამართულ სახელმწიფოს ხელმძღვანელ მუშაკთა ოპერატიულ თათბირზე ქ.ზუგდიდში სამთავრობო ძალების შესვლა 1993 წლის 7 ნოემბრისთვის დაითქვა.

მაგრამ ქალაქში ერთი დღით ადრე შევიდნენ მაშველთა კორპუსის რაზმები.

„მაშინ ქაჯეთს მოაწია უსაზომო რისხვა ღვთისა...“

შესვლის უმალ „გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა“ დაარბიეს შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობა, ყაჩაღურად ესხმოდნენ ადგილობრივი პოლიციის მუშაკებს და ტაბელურ იარაღს სტაცებდნენ...

ქალაქში განუკითხავი ძარცვა-გლეჯა დაიწყო...

ქალაქში შესვლის იმ პირველ დღეს მომხდარ ერთ ეპიზოდზე საგანგებოდ მინდა შევჩერდე.

დავიწყებ იმით, რომ 1997 წლის 12 აპრილს პატიმარმა ჯაბა იოსელიანმა ციხიდან განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და საქარველოს პარლამენტის საკონსტიტუციო იურიდიულ საკითხთა და კანონიერების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს. მან დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა. უსაფუძვლოდ, სამაგიეროს გადახდის მიზნით დამაკავა შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა კვირაიამ, რომელიც პარლამენტის სხდომაზე ვამხილე ზუგდიდში 6 ადამიანის მკვლელობაშიო...

ჯ.იოსელიანმა ასეთივე შინაარსის წერილი გამოაქვეყნა 1997 წლის 16 აპრილის „დილის გაზეთში“.

თავის წიგნში „მესამე განზომილება“, ჯაბა იოსელიანი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: **„... ჩემი დაცვის ბიჭები და შევარდნაძის „ამერიკელები“ გარბიან მითითებული სახლისკენ... შემთხვევის ადგილი სულ რაღაც 4-5 სახლის იქითაა. ხალხი შეგროვდა, ისმის ავტომატის რამდენიმე ჯერი. მორბის „წესრიგა“: „მაროდიორები არიან, აიყვანესა“, შემდეგ სხვებიც ბრუნდებიან: „შოთა კვირაიამ დახოცა ექვსივე“ — ამბობენ. მივიხედ-მოვიხედე, კვირაია ჩვენთან აღარ ჩანს. დაუჯერებელია, ახლა აქ იყო, ხალხი წყალდასხმულივით იშლება... დაწვრილებით მილიციაში ვიგებთ, რაც მოხდა. მაროდიორები შემძვრალან დაკეტილ სახლში, გვარწმუნებენ, გაქცეული ზვიადისტების სახლიაო, მეზობელს დაუნახავს და განგაში აუტეხავს. ჩვენი ბიჭების მისვლისთანავე გამოსულან და ჩაბარებულან „ამერიკელებს“. „ამერიკელებს“ ხელბორკილები დაუდიათ და მიწაზე პირქვე დაუწვენიათ. ამ დროს მოსულა კვირაია და ავტომატის ჯერით გადაუარ-გადმოუარა მათ. ხუთი ადგილზე დახვრიტა, ერთი მგონი გადარჩა“.**

ბატონი ჯაბა მოვლენათა მსვლელობას ზოგადად სწორად კი გადმოსცემს, მაგრამ იმავდროულად ორ ნიუანსს მალავს შეგნებულად, რაც ამ ინფორმაციას მთლიანად უცვლის სახეს.

საქმე ის არის, რომ ის „მაროდიორები“, რომლებიც „გაქცეული ზვიადისტის დაკეტილ სახლში შემძვრალიყვნენ“, ხობის მაშველთა რაზმის (მხედრიონის) წევრები იყვნენ.

როგორც იურისტები იტყვიან, 1992-1993 წლებში სამეგრელოს რეგიონის მაშველთა რაზმის უფროსმა სოსო ლატარიამ ხობის მაშველთა რაზმის ბაზაზე ჩამოაყალიბა შეიარაღებულ პირთა ჯგუფი. მასში გაერთიანებული იყო დაახლოებით 30-მდე კაცი. შეიარაღებული იყვნენ ავტომატებით, ხელის ტყვიამფრქვევებით, პისტოლეტებით, ხელყუმბარებით. 1993 წლის 6 ნოემბერს ხობში ხელში ჩაიგდეს „რაფის“ მარკის სამგზავრო მიკროავტობუსი. თანამზრახველები შეთანხმდნენ, რომ დაესწროთ სამთავრობო ძალებისთვის — მათზე ადრე შესულიყვნენ ქ.ზუგდიდში და თავს დასხმოდნენ იქაურ შეძლებულ ოჯახებს.

ახლა ძარცვის ადგილი („გაქცეული ზვიადისტის დაკეტილი სახლი“): 7 ნოემბერს, დღის მეორე ნახევარში, შეიარაღებული ჯგუფი ზუგდიდის ერთ-ერთ გარეუბანში — ლერმონტოვის, ლაზის, ს.ჯანაშიას, თავისუფლების და სხვა ახლომდებარე ქუჩებზე, თავს დაესხა ნოდარ მელიას და დალი ბოჭორიშვილის, გიორგი მირგატიას და ქეთევან ქაჯაიას, შაქრო გადელიასა და ლუარა ქობალიას, ნანა ცხაკაიას, ელგუჯა დარასელიას, რეზო მამფორიას, მარო ჯიშკარიანის, რუზგენ შულაიას, ნანა თოდუას, შურა დგებუაძის და სხვათა ოჯახებს. გაიტაცეს ფული, ძვირფასი სამკაულები, ტანსაცმელი, ტელევიზორები, მაგნიტოფონები, ჭაღები და სხვა საოჯახო ფასეულობანი, ნაძარცვს იქვე ქუჩაში გაჩერებულ „რაფში“ აწყობდნენ.

გახურებული ძარცვის დროს, დაახლოებით 16 საათზე, ლერმონტოვის ქ.№11-ში მცხოვრებ ჩაჩიბაიების ოჯახს მისასამძიმრებლად ეწვია საქართველოს სახელმწიფო მეთაური (ჩაჩიბაიების 18 წლის ვაჟი, საქართველოს პოლიციის აკადემიის პირველი კურსის სტუდენტი სერგო ჩაჩიბაია 1992 წლის მარტში ზუგდიდის საგამოძიებო იზოლატორში საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა).

სახელმწიფო მეთაურს თან ახლდნენ ჯაბა იოსელიანი, ახლადდანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირაია და სხვა პირები. როგორც კი მათი იქ ყოფნა შეიტყვეს, აწიოკებულმა მოსახლეობამ მოძალადეთაგან დაცვა ითხოვა...

**მოვუსმინოთ თვითმხილველთ:**

**გოგი ვაწაძე — შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უმცროსი ინსპექტორი: „ამ დროს გავიგონეთ სროლა... ერთ სახლთან, მოხვეულ ქუჩაზე, იდგა მინისტრი შოთა კვირაია, ხელში ეჭირა რუმინული წარმოების ავტომატი და ჩვენს თვალწინ დახვრიტა მიწაზე დაწოლილი ახალგაზრდები“.**

**ზაქარია (ზაზა) მეტრეველი — შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უმცროსი ინსპექტორი: იქ ადგილობრივი მოსახლეობა იყო შეკრებილი. შემოეხვივნენ შევარდნაძეს, უთხრეს ქუჩის ბოლო სახლში ყაჩაღობააო. ბრძანა, აიყვანეთო. ჩვენ წავედით მათ ასაყვანად. გამოვიყვანეთ 6 კაცი, დავაწვინეთ მიწაზე მკერდით, ამ დროს ბატონმა შოთა კვირაიამ თავისი კუთვნილი იარაღით ხელებში დაუწყო სროლა, შემდეგ მოვიდა ჩემთან (ერთ მეტრში იყო) გამომართვა ხელიდან ავტომატი და ზურგიდან ექვსივე დახვრიტა. მათ რომ ესროდა, მაშინ მომხვდა ტყვია, რის შემდეგაც ზუგდიდის საავადმყოფოში გადამიყვანეს, აღმომიჩინეს სამედიცინო დახმარება“.**

**ლევან ბურაშვილი — უშიშროების სამსახურის მუშაკი: „... ე.შევარდნაძე ხალხს ესაუბრებოდა, რომ უცებ 60-70 მეტრში გაისმა ყვირილი, გვიშველეთო. სპეცდანაყოფი „ომეგა“ავტობუსით გავიდა შემთხვევის ადგილისკენ, რამდენიმე ხნის შემდეგ მე მიბრძანეს გამერკვია მდგომარეობა... „ამ დროს „ომეგამ“ ხელში ჩაიგდო და სახლიდან გამოიყვანა 7 კაცი, რომლებიც მიწაზე დაყარეს და ხელბორკილები დაადეს. ამ დროს ადგილზე მოვიდა თვით შოთა კვირაია. ერთ პოლიციელს რუმინული წარმოების ავტომატი გამოსტაცა და დაიწყო უწესრიგო სროლა. ისეთი უწესრიგო, რომ ერთმა ტყვიამ ფეხებში გამიფრინა და შარვლის ტოტში გამიარა. სროლისას უცენზურო სიტყვებს იძახდა, დედას აგინებდა მათ. გინების დროს მისგან აშკარად მომდიოდა ალკოჰოლის ოხშივარი. ამის დანახვაზე ირგვლივ მყოფმა ხალხმა თავზარდაცემულმა შეჰყვირა და მინისტრი თითქოს გონს მოვიდა, ჩადენილისგან შეშინებული ჩქარი ნაბიჯით გაემართა შავი ფერის „ჟიგულისკენ“.**

ასეთია სამი თვითმხილველის მოწმობა.

ასეთია ის მთავარი საფუძველი, რასაც გენერალ შოთა კვირაიას მიმართ 6 ადამიანის გამოუძიებლად და გაუსამართლებლად დახვრეტის ბრალდება ეყრდნობა.

თვითმხილველთა ჩვენებები უყოყმანო და დეტალურია, თუმცა, შეიმჩნევა უზუსტობანი, შეუსაბამობები.

თუმცა, არავითარი საფუძველი არ არსებობს, არ დავუჯეროთ მათ.

ოღონდ...

ამრიგად ასეთი სურათი იკვეთება: ახალდანიშნულმა (სულ სამი კვირის) შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელსაც სურს, თანმხლებთ უჩვენოს, რომ რკინის ნერვები აქვს (უფრო სწორად, რომ ნერვები საერთოდ არა აქვს), რასაც ემატება მის ხელში ასე ერთბაშად მოქცეული ძალეუფლებით თავბრუდახვევა და წუხელ სენაკში შესმული ლამის ერთი ჩაფი ღვინითა (ლ.ბურაშვილის ჩვენება) და იმ დილით საათნახევრიანი წახემსების დროს (ზ.მეტრეველის ჩვენება) გადახუხული პილატეს ცრემლებით მოგვრილი ზარხოში, გადაამეტა თავის უფლებებს, საერთოდ დაკარგა რეალობის აღქმა და დახვრიტა მის წინ მიწაზე დაყრილი, ხელებშეკრული, უიარაღო მძარცველები, რამაც თავზარი დასცა ირგვლივ მყოფთ.

დაკავებულები გელა პერტაია, გივი კვარაცხელია და ანზორ ზაქარაია მი-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 12-15

# ბოროტების მხედრობა

ღებული ჭრილობებისგან ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო მძიმედ დაჭრილები თამაზ ჩინჩალაძე, მამუკა ჭაჭია და გიორგი კვარაცხელია ზუგდიდის ჭითაწყაროს საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ოპერაციის შედეგად გადარჩა თამაზ ჩინჩალაძე, ხოლო გიორგი კვარაცხელია და მამუკა ჭაჭია გარდაიცვალნენ. დანარჩენებმა: სოსო და ოლეგ ლატარიებმა, რუსლან წურწუმიამ, ილია ქაქუთიამ, ვალერი ბერაიამ და სხვებმა, შემთხვევის ადგილიდან გაქცევა და მიმალვა მოახერხეს.

გაქცეულები ს.ლატარია, რ. წურწუმია, ი.ქაქუთია, ვ.ბერაია და განკურნებული თ.ჩინჩალაძე 1995-1996 წლებში დააპატიმრეს ადრე ჩადენილი დანაშაულისთვის, კერძოდ 1992 წლის ოქტომბერში მოქ. გ.ქობალიას მოტაცების, გამოძალვის, ყაჩაღური თავდასხმისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარებისთვის. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 1996 წლის ოქტომბრის განაჩენით მათ სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გენერალი შოთა კვირაია სიცოცხლის ბოლომდე კატეგორიულად უარყოფდა დაკავებული ყაჩაღების დახვრეტაში მონაწილეობას. მაშინ, 1994 წლის ნოემბერში, გამომძიებელმა უარი თქვა კვირაიას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე „მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო".

აქ ერთი, აქამდე ნაკლებადცნობილი ფაქტიც არის ხაზგასასმელი:

ამ ამბამდე 5 დღით ადრე, 1993 წლის 2 ნოემბერს, გამოიცა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ე.შევარდნაძის ბრძანება „საომარი მოქმედების რაიონებში მაროდიორობის, ბანდიტიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ საგანგებო ზომების გაძლიერების შესახებ", მასში არის ერთი ასეთი მუხლი: „იმ სამხედრო მოსამსახურეების, პოლიციელების, მაროდიორობასა და ძალადობაში შენიშნული მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილებიან სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნებს, ადგილზე იქნეს გამოყენებული კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, მათი ფიზიკური განადგურების ჩათვლით".

ასე და ამგვარად, ბრძანება მაროდიორთა და ყაჩაღთა ადგილზე განადგურების შესახებ, იყო.

ოღონდ, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში!

არადა არის ცნობები, რომ მათი დაკავების შემდეგაც გრძელდებოდა სროლა, ყუმბარის აფეთქება...

ყველა შემთხვევაში, გამოძიების მასალების მიხედვით (მოწმეთა ჩვენებებით) სიტუაცია ჯდება იმ ჩარჩოებში, რომელსაც ჰქვია ბოროტმოქმედთა შეიარაღებული თავდასხმის მოგერიება, თუმცა, ეს დაკავშირებული იყო მათს ფიზიკურ განადგურებასთან.

მაგრამ ეს ისე...

დაბოლოს მკითხველს უნდა ვუამბო ერთი უცნაური ამბავი.

ზუგდიდის იმ უბნის მცხოვრებნი (ნ.მელია, შ.გადელია, ა.კუკავა, მ.ჩაჩიბაია და სხვ.), სადაც მთელი ეს ამბავი დატრიალდა, გამოძიებას უჩვენებდნენ, რომ 1997 წლის ზაფხულში მათი ოჯახები ჩამოიარა ორმა თბილისელმა ახალგაზრდამ („დაახლოებით 25 წლისანი") სარფიანი წინადადებით: ხელი მოეწერათ განცხადებაზე, რომ 1993 წლის 7 ნოემბერს 6 ყაჩაღი შ.კვირაიამ დახვრიტა საკუთარი ხელით. ყოველი ასეთი განცხადების დამწერს 1000-1500 დოლარს ჰპირდებოდნენ, ხოლო იმას, ვინც მეზობლებში ორგანიზებას გაუკეთებდა ასეთი განცხადებების შეგროვებას — უფრო მეტს.

მოსახლეობას ამაზე უარი განუცხადებია.

ის დრო, როცა თბილისიდან ჩასული ემისრები შოთა კვირაიას შესახებ „კომპრომატის", მისი დანაშაულის ცოცხალი მოწმეების შეგროვებას ცდილობდნენ, მინისტრის წინააღმდეგ გააფთრებული შეტევის პერიოდი იყო.

ერთიც, მაშინ ჩვენი გაზეთები წაილეკა ზუგდიდის საქმის გამოძახილით. ერთხმად წერდნენ, ზუგდიდში შ.კვირაიამ ექვსი ახალგაზრდა დახვრიტაო.

არა ექვსი მაროდიორი, ყაჩაღი და ბანდიტი, არამედ ექვსი ახალგაზრდაო. თითქოს ეს „ახალგაზრდები" ისხდნენ სახლებში თავისთვის, კითხულობდნენ წიგნს, მივიდა კვირაია, გამოიყვანა და დახვრიტა.

ნამდვილად არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ბანდიტთა ადგილზე ლიკვიდაციის შესახებ ხმა თავიდან შ.კვირაიამ გაავრცელა. იმავე საღამოს იგი ხობში ადგილობრივი პოლიციის უფროსმა ვახშმად მიიწვია გამგებლის მოადგილის ოჯახში, ვახშამს რაიონის გამგებელიც ესწრებოდა (ისე, რა ამბავი იყო ამდენი საუზმე-სადილ-ვახშამი იმ გაუბედურებულ სამეგრელოში?), კვირაია მოჰყვა, დღეს ზუგდიდში ბანდიტები ადგილზე დაიჭირეს და ადგილზევე მოხდა მათი ლიკვიდაციაო.

რა ვითარებაში და ვინ მოახდინა ეს ლიკვიდაცია, ამაზე საუბარი არ ყოფილა, არც არავინ დაინტერესებულა, — მაშინ ხომ არც ამბის მთხრობელს და არც მასპინძლებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ლიკვიდირებულები ხობელები იყვნენ.

სამაგიეროდ, მეორე დღეს, როცა ხობში ხუთი მიცვალებული მიასვენეს!..

როგორც ჩანს (ყოველ შემთხვევაში, სავარაუდოა!) კვირაიას უმისამართოდ ნათქვამი, ადგილზევე მოხდა ბანდიტების ლიკვიდაციაო, იოლად გადამისამართდა...

* * *

**დავაზუსტოთ:** „დასავლეთ საქართველოს რეგიონებში საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა გეგმით" და სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 2 ნოემბრის ბრძანებით, გათვალისწინებული არ იყო ამ ღონისძიებაში მაშველთა კორპუსის წევრების მონაწილეობა.

ეს უფლება თვითონ მიიკუთვნეს.

უფრო სწორად, მიიტაცეს.

რა თქმა უნდა, არა „საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების უზრუნველყოფის" უეცრად მოწოლილი დაუძლეველი ნდომისა გამო.

მიზეზი ერთობ ანგარებიანი იყო.

მაშველთა კორპუსის („მხედრიონის") განდობილი წევრები და მათი მოთავენი იარაღისა და საბრძოლო მასალების ჩამორთმევის საბაბით შედიოდნენ მოქალაქეთა ბინებში და პირწმინდად ძარცვავდნენ.

ცნობილია რამდენიმე ათეული ასეთი ძარცვა, როცა მანქანებთან, ფულთან, ძვირფასეულობასა და რადიოაპარატურასთან ერთად გაიტაცეს თეთრეული, ჭურჭელი, ტანსაცმელი და... ცხვირსახოცები, წინდებიც კი...

აი, ერთი მაგალითი: 6 ნოემბერს (ქალაქში შესვლის დღესვე) გ.გელოვანი, დ.მაჩალაძე, მ.ოსეფაშვილი, პ.მაისაშვილი და ოთხი სხვა მხედრიონელი თავს დაესხნენ ბოჩია გერგედავას და ძალადობით წაართვეს შვილისა და სიძის კუთვნილი ორი მსუბუქი ავტომანქანა, ორი უცხოური ვიდეომაგნიტოფონი, „ფილიპსის" მარკის ტელევიზორი, სხვა ძვირფასი ნივთები, ტანსაცმელი, „ჟიგულის" 4 საბურავი, 300 ათასი რუბლი.

რაკილა შეიგულეს, ძლიერი ოჯახიაო, 10 ნოემბერს მეორედ მიუხტნენ: სახელმწიფოს კუთვნილი 300 კილოგრამი შაქარი, 600 ბოთლი მზესუმზირის ზეთი და შავი დღისთვის გადანახული 200 ქილა ხორცის კონსერვი და 2 ტომარა პურის ფქვილი წაართვეს.

ძარცვავდნენ განურჩევლად ყველას. აფხაზეთიდან რის ვაივაგლახით გამოღწეულ კაცს ქურთუკები, ჯემპერები და საწოლის გადასაფარებლებიც კი წაგლიჯეს.

როცა ერთ-ერთმა პოლიციელმა შესჩივლა, ოჯახში ყაჩაღურად დამეცნენო, უამბო, რასაც ჩადიოდნენ მხედრიონელები ზუგდიდში და სთხოვა, მოსახლეობა დაეცვა მათი თარეშისგან, ჯაბამ ნიშნი მოუგო, „აბა რა გეგონათო".

არა, ნამდვილად არ ეგონათ.

ვერც წარმოიდგენდნენ.

მაშველთა კორპუსის თავკაცებმა მოსახლეობას ქონების მითვისების გასაიოლებლად „მეთოდური მითითებაც" კი შეიმუშავეს. ვ.ქრისტესიაშვილი თავის ხალხს არიგებდა: „შედით სახლებში და რამდენიმე დღით თხოვეთ მანქანები. უთხარით, კომენდატურაში ვიქნებით, პატრულებისთვის, საერთო საქმისთვის გვჭირდებაო. მანქანები პატრონებს აღარ დაუბრუნდებათ".

ყოველ გატაცებულ ავტომანქანას ოთხკაციანი შეიარაღებული ეკიპაჟი ჰყავდა სხვაზე „გამოცდილი" მხედრიონელის თავკაცობით.

ოპერატიულად გადაწყდა ნაძარცვ-ნაყაჩაღარის შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის საკითხი. ზუგდიდის კომენდატურის შენობაში ალაფის შესანახად ცალკე ოთახი იყო გამოყოფილი.



„რასაც იშოვით, ყველაფერი შტაბში მოიტანეთ, არავითარ მოტეხვას ადგილი არ ჰქონდეს, თორემ დაისჯებით", — აფრთხილებდა რუსთავის მაშველთა კორპუსის რაზმის წევრებს მათი ხელმძღვანელი თ.ტალახაძე. ნადავლს იბარებდნენ და ინახავდნენ დავით სანიკიძე (არ აგერიოთ 1996 წლის 11 ივლისს ვენაში მოკლულ დავით სანიკიძეში) და გია ძაგანია. შემდეგ მას მძარცველები „დამსახურების მიხედვით" იყოფდნენ.

გაძარცვული, შეურაცხყოფილი, დამცირებული ზუგდიდი ფანჯრებზე ჩამოფარებული ფარდებიდან შიშით ადევნებდა თვალს ქალაქში ფრთაგაშლილ ყაჩაღობას.

მერე დარჩელის ტრაგედია იყო...

* * *

**როცა** ზუგდიდი იძარცვებოდა, რა თქმა უნდა, არც ახლომახლო სოფლებს ადგა კარგი დღე.

1993 წლის 16 ნოემბერს სოფელ დარჩელში მაშველთა კორპუსის წევრებმა მოსახლეობიდან გატაცებული ნივთებით ორი (ასევე გატაცებული) ავტომანქანა დაზურგეს და ზუგდიდს გაუტიეს.

ახალკახათისა და დარჩელის საზღვარზე მათ ვიღაც ჩასაფრებულებმა სროლა აუტეხეს.

ო.ჯამარაული და ზ.ადუაშვილი ადგილზე მოკლეს.

ტ.წიწილაშვილი, ჯ.კურტანიძე, მ.მიქელაძე, გ.ვალიშვილი და რ.წიქარიშვილი დაჭრეს.

მანქანებს ცეცხლი მოედო და ნაძარცვთან ერთად დაიწვა.

თავდასხმის ადგილზე მისულმა მხედრიონელმა კ.ჯინჭარაძემ დაჭრილი ტ.წიწილაშვილი ზუგდიდში წაიყვანა და კომენდატურის შენობაში მყოფ ზ.პაიჭაძეს, მის მოადგილე ვ.ქრისტესიაშვილსა და შტაბის უფროს დ.გუგეშაშვილს დარჩელთან მომხდარი ამბავი აცნობა.

შტაბში ეს თავდასხმა ადგილობრივი მოსახლეობის ნამოქმედარად მიიჩნიეს და შურისძიება განიზრახეს.

თუნდაც მართლა ორი-სამი გამწარებული იქაურის ნამოქმედარი ყოფილიყო, ორ სოფელს უნდა ეზღო მათი ბრალი? რა, მტრის ქვეყანაში იყვნენ?

მაგრამ ისინი უყოყმანოდ ხელმძღვანელობდნენ ჯ.იოსელიანის 1993 წლის ნოემბრის დასაწყისში მიცემული მითითებით: წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მოსახლეობას უსასტიკესად გაუსწორეთ ანგარიშიო.

გაუსწორეს კიდეც.

სახელდახელოდ შედგა გეგმა: დასცემოდნენ ახალკახათსა და დარჩელს. მოსახლეობის ქონება გაეტაცათ, სახლები კი გადაეწვათ.

დამსჯელი ექსპედიცია 80-100 კაცით დაკომპლექტდა.

კბილებამდე შეიარაღდნენ და ჯავშანტექნიკაც იახლეს, წავიდნენ მსუბუქი ავტომანქანებით, ალაფის წამოსაღებად „იკარუსი" და „კამაზი" გაიყოლეს.

მისვლისას 5-10-კაციან ჯგუფებად დანაწილდნენ და ორივე სოფელს ერთდროულად შეუტიეს სროლითა და ღრიანცელით.

თუმცა, ვის უტევდნენ, ვინ იყო წინააღმდეგობის გამწევი? საფრთხე იყნოსა თუ არა, მოსახლეობის დიდი ნაწილი გაიხიზნა და მახლობელ ტყესა და ჩაის პლანტაციებს შეაფარა თავი.

„დიდი თურქობა" სამ საათს გაგრძელდა.

დაწვეს, დააზიანეს და გაანადგურეს საცხოვრებელი სახლები და სხვა შენობა-ნაგებობები, საოჯახო ნივთები, ციტრუსი და ხეხილი, დახოცეს საქონელი და შინაური ფრინველი, რაც მოეწონათ — მიიტაცეს.

ხანძარს აჩენდნენ ჯავშანსტრანსპორტიორის ჭურვებით, ჩალისა და სხვა ადვილადაალებადი ნივთიერებების ცეცხლის წაკიდებით.

ახალკახათში გადაბუგეს ჯემალ, ჯორბენ, შაქრო და ვენგერ აბსანძეების, დემურ კილასონიას, ბოჩო კირცხალიას, ვალერი კუკავას, მარია ჭურღულიას საცხოვრებელი სახლები, სამი ავტომანქანა და თაობათა ნაგროვები ძვირფასი საოჯახო ნივთები, რომელთა გატაცებაც ვეღარ შეძლეს.

დამსჯელი ოპერაცია უფრო სასტიკად წარიმართა დარჩელში. ცნობილი ვალტერ შურღაია დაბეჯითებით ადასტურებს, რომ ეგზეკუციის ოპერაციას უძღვებოდა ჯაბას მარჯვენა ხელი, „ქართველი ჟანა დარკი", პოლკოვნიკი დოდო გუგეშაშვილი, თუმცა, ეს ქალბატონი დღემდე უარყოფს მასში მონაწილეობას.

ცეცხლს მისცეს ზინობია, გურამ, სერგო და ვარდიშა აბსანძეების, იური, კონსტანტინე ხუბუების, შალვა ბიგვავას, გენო, გურამ, მუშუხ და ჰამლეტ ვართაგავების, პალიკო, გოგი, მურმან, ჯუღულ სიჭინავების სახლები და ქონება.

**პირწმინდად** გაძარცვეს მზიური აბსანძე, ღუდა და ვალერიან ჯიქიები, რევაზ სორდია, თანდილა და გენო მარკოზიები, ბოჩო ბიგვავა, მიხეილ გაგუა, ვლადიმერ, გიგლა ჭეჟიები, ოთიკო ქობალია, ნაპო საჯაია, გენო სიჭინავა, გულივერ ჩარგაზია, რენო აქირბაია...

სოფელში დახოცეს 37 ძროხა, 12 კამეჩი, 3 ხარი, რამდენიმე ათეული ღორი და გოჭი, უამრავი ქათამ-ინდაური.

**ალეკო ასლანიშვილი.**

(გაგრძელება იქნება)

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისი გმობს ძალადობას კიევში

## ქართული ოპოზიცია უკმაყოფილოა მთავრობის „სურვილის უქონლობის გამო“, გააკრიტიკოს რუსეთი

**საქართველოს ხელმძღვანელობამ და საპარლამენტო ოპოზიციამ დაგმეს ძალადობის ესკალაცია უკრაინის დედაქალაქში, რამაც გამოიწვია, როგორც მინიმუმ ორი კაცის სიკვდილი.**

**„ჩვენ ვგმობთ ნებისმიერ ძალადობას და იმედს ვიტოვებთ, რომ უკრაინის ხელისუფლება და მთელი საზოგადოება გამოიჩენს სიბრძნეს და არ დაუშვებს მოვლენათა ძალადობრივ განვითარებას. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი უკრაინელი მეგობრები შეძლებენ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაწყვიტონ პოლიტიკური საკითხები, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის“,** — ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში, რომელიც 22 იანვარს გავრცელდა.



თავის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოთქვა „ღრმა მწუხარება“ კიევში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით და დაპირისპირებულ მხარეებს მოუწოდა, თავი შეიკავონ ძალის გამოყენებაზე.

„საქართველო პატივს მიაგებს ყველა ქვეყნის უფლებას თავად განსაზღვროს თავისი პრიორიტეტები, მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებელია, დავიცვათ შეკრების თავისუფლებისა და სამოქალაქო აზრის გამოხატვის პრინციპები“, — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში იმედი აქვთ, რომ უკრაინა, რომელიც საქართველოს „ტრადიციული მეგობარი“ და პარტნიორია, მათ შორის ევროსაბჭოს პროგრამის ფორმატში „აღმოსავლური პარტნიორობა“, შეძლებს, გადაჭრას შექმნილი სიტუაცია დიალოგის გზით, „ქვეყნისა და უკრაინელი ხალხის ინტერესების შესაბამისად“.

„ჩვენ გულწრფელად გვინდა მომავალშიც ვიხილოთ უკრაინა საქართველოსთან ერთად დიდ ევროპულ ოჯახში, როგორც ქვეყანა, რომელიც იზიარებს საერთო ევროპულ ღირებულებებს“, — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

### „ჩვენი თავისუფლება“

**საქართველოს საპარლამენტო ოპოზიციური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, რომელსაც საქართველოს წინა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უდგას სათავეში, წარმომადგენლები „არასაკმარისად მკაფიოდ“ მიიჩნევენ საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ განცხადებებს და აკრიტიკებენ ხელისუფლებას იმ სურვილის უქონლობის გამო, რომ აღნიშნონ „რუსეთის დესტრუქციული როლი“ უკრაინის ევროინტეგრაციის პროცესში.**

„გაწბილებული ვარ ხელისუფლების რეაქციით, — განაცხადა თავის კომენტარებში საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის დავით ბაქრაძემ, რომელიც 2013 წლის ოქტომბერში იყო პრეზიდენტობის კანდიდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. ხელმძღვანელობის რეაქცია უნდა იყოს უფრო მკვეთრი. ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, არ არის საშინაო პოლიტიკური დაპირისპირება, დღეს უკრაინაში მიმდინარეობს დაპირისპირება, რაზეც დამოკიდებულია — აღდგება საბჭოთა კავშირი თუ არა... ხელისუფლების წარმომადგენლები პრინციპულად ცდილობენ, არ ახსენონ რუსეთი ამ მოვლენებში. რამდენიმე თვის შემდეგ რუსეთი შეეცდება, გააკეთოს იგივე საქართველოში... თუ დღეს თვალს დავხუჭავთ, ხვალ შეიძლება ჩვენს წინაშე გაჩნდეს ანალოგიური პრობლემა“.

22 იანვარს გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კიევში „ძალადობის ესკალაციაში“ ბრალს სდებს რუსეთსა და უკრაინის პრეზიდენტს ვიქტორ იანუკოვიჩს. ქართველი ოპოზიციონერების თანახმად, რუსეთი ახორციელებს „ხანგრძლივ ზემოქმედებას“ უკრაინაზე, რათა შეაჩეროს ქვეყნის ევროინტეგრაცია და არ მისცეს საშუალება კიევს, ხელი მოაწეროს შეთანხმებას ევროკავშირთან ასიგნაციის შესახებ. ასევე, ამტკიცებენ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“, „დაძაბულობის ესკალაციის იმპულსი“ იქნება უკრაინის პარლამენტის მიერ მიღებული ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა „არადემოკრატიული, რეპრესიული და კონფრონტაციული პაკეტი, რომელმაც შეზღუდა გამოხატულებებისა და სამოქალაქო თავისუფლება“.

**„საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად ჩვენ ვალდებული ვართ, გამოვუთქვათ სრული სოლიდარობა უკრაინელი ხალხის მისწრაფებას ევროპელ ერთა ოჯახისკენ, რაც ემყარება თავისუფლებას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებს. საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ნებისმიერ მცდელობას, ჩაითრიონ უკრაინა პუტინისეულ ევრაზიულ კავშირში. უკრაინის თავისუფლება — ეს ჩვენი თავისუფლებაა!“,** — ნათქვამია განცხადებაში.

მიუხედავად ამისა, მმართველი პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს „მორალური უფლება, უკარნახოს“ საქართველოს ხელისუფლებას, აგრეთვე უკრაინის ხელმძღვანელობასაც, თუ როგორ იმოქმედოს შექმნილ სიტუაციაში, ვინაიდან მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ისინიც თავად არაერთგზის არბევდნენ სამშვიდობო ანტისამთავრობო დემონსტრაციებს, მათ შორის ძალის გამოყენებითაც.

### „საქართველოს მომავალი“

**„ამერიკის ხმის“ რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების საქართველოს ფონდის ხელმძღვანელმა ალექსანდრე რონდელმა აღნიშნა, რომ, იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინა არის საქართველოსთვის პარტნიორი და მეგობრული სახელმწიფო, მისთვის გასაგებია „საქართველოს მთავრობის სიფრთხილე კომენტარებში კიევში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.** მიუხედავად ამისა, პოლიტოლოგს „სასურველად“ მიაჩნია მეტი აქტივობა დაინახოს საპარლამენტო უმრავლესობის ქართველი დეპუტატების, აგრეთვე საზოგადოებრიობის მხრიდანაც.

**„უკრაინელები ყოველთვის იდგნენ საქართველოს გვერდით მძიმე წუთებში. ბოლოს და ბოლოს, კიევში ისინი ახლაც იცავენ საქართველოს მომავალსაც. თუ უკრაინის ოპოზიცია დამარცხდება, რუსეთის მომავალი სამიზნე გავხდებით ჩვენ“,** — შენიშნა რონდელმა.

ექსპერტს მიაჩნია, რომ დასავლეთმა უკრაინაში მოვლენები უნდა აღიქვას, როგორც სიგნალი უფრო გადამწყვეტი ნაბიჯებისთვის აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან დაახლოებისთვის.

**„ყველაფერი, რაც კიევში ხდება, გვიჩვენებს, რამდენად სერიოზულად არის განწყობილი რუსეთი თავისი გავლენის დაკარგვასთან დაკავშირებით პოსტსაბჭოთა სივრცეში. ლოგიკური იქნებოდა, რომ მოვლენებმა უკრაინაში დააჩქარონ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი, თუმცა ევროკავშირის პასიურობის გათვალისწინებით რუსეთთან დაკავშირებით, ძნელად რომ უნდა ველოდოთ რაიმე გადამწყვეტ ნაბიჯს ამ მიმართულებით“,** — თქვა ექსპერტმა.

### „დასავლეთის რეაქცია“

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე „არასწორად“ მიიჩნევს ოპოზიციის კრიტიკას საქართველოს მთავრობისადმი არასაკმარისად მკაცრი განცხადებების გამო უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით.** მაცაბერიძემ შეგვახსენა მიხეილ სააკაშვილის „უკიდურესად მკვეთრი“ განცხადებების შესახებ მისი პრეზიდენტობის დროს უკრაინაში რუსეთის ზემოქმედებასთან დაკავშირებით, აგრეთვე მცდელობათა შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა მხრიდან — მიიღონ მონაწილეობა უკრაინის პოლიტიკურ პროცესებში.

**„ყველას გვახსოვს, რომ ეს აღქმული იქნა, როგორც არაკორექტული ქცევა, როგორც უკრაინის საშინაო საქმეებში ჩარევა. აქტიურობამ საქართველოს მხრიდან მაშინ შედეგი არ გამოიღო“,** — აღნიშნა პოლიტოლოგმა.

მაცაბერიძე დარწმუნებულია, რომ მთავარი სიტყვა ახლა ევროკავშირმა უნდა თქვას და რომ რუსეთის მომავალი მოქმედებები აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნებთან დაკავშირებით დამოკიდებული იქნება მხოლოდ იმაზე, რამდენად მკვეთრი იქნება დასავლეთის რეაქცია კიევის მოვლენებზე.

**„საქართველო არ არის გლობალური მოთამაშე, ასე რომ, მკვეთრი განცხადებები თბილისის მხრიდან ეფექტს არ მოგვიტანს, თუ არ იქნება ევროკავშირის ძალიან მკაცრი რეაქცია კიევში მიმდინარე ზემოქმედებასთან, აგრეთვე რუსეთის ჩარევასთან დაკავშირებით, გააკეთოს უკრაინელმა ხალხმა თავისუფალი არჩევანი“,—** განაცხადა ექსპერტმა.

VOA
Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**ევროკავშირში განიხილავენ სანქციების გამოყენებას უკრაინისადმი, რუსეთში კი აშინებენ დაფინანსების შეწყვეტით**

**ამავე დროს ერთნაირი შეხედულება პოზიციაზე უკრაინასთან დაკავშირებით ევრვოკავშირში ჯერჯერობით არ არის. მაგალითად, ბერლინმა გვაგრძნობინა, რომ ჯერჯერობით არ გამოდის სანქციების შემოღების წინააღმდეგ. ბრიუსელი გვთავაზობს, არ დავიშუროთ დიპლომატიური ძალისხმევა სიტუაციის მოწესრიგებისთვის. სანქციების ვარიანტები მოიცავს ჩინოვნიკების აქტივების გაყინვასა და აკრძალვას ევროპაში შესვლაზე.**

* * *

**ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთს „მშვიდობისკენ მოწოდება“ გაუგზავნა, რასაც თან ახლავს დაშინებაც**



**თავის გზავნილში ფხენიანმა მოუწოდა სეულს დაასრულოს კონფრონტაცია და უარი თქვას თებერვლისთვის დაგეგმილ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთობლივ სამხედრო სწავლებაზე. სამხრეთელებს ასევე არ ურჩევენ „უგუნურად იქონიონ ეჭვი, შეწყვიტონ არასწორი განმარტებანი და სასწრაფოდ უარყონ“ ეს „გულწრფელი და მნიშვნელოვანი წინადადება“.**

* * *

**კაიროს ცენტრში სამი აფეთქების ხმა გაისმა: არის მსხვერპლი**



**პირველი საგანგებო შემთხვევა მოხდა ადგილობრივი პოლიციის შტაბ-ბინის მახლობლად, მეორე — დოკის რაიონში. რამდენიმე კაცი დაიღუპა, ათობით დაშავდა. ტერორისტულ აქტებში ბრალს სდებენ „ერთ-ერთ ჯიჰადისტურ დაჯგუფებას“. მთელს კაიროში გაძლიერებულია უსაფრთხოების ზომები.**

* * *

**ჟენევაში პირველად სამი წლის განმავლობაში იწყება სირიასთან დაკავშირებული მოლაპარაკება**

**დელეგაციები განთავსდებიან გაეროს ერთა სასახლის სხვადასხვა ოთახებში და თანახმანი არიან იქონიონ ურთიერთობა მხოლოდ გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ბრაჰიმის მეშვეობით. ყველაზე სადავო საკითხად რჩება გარდამავალი მთავრობის შექმნა და სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის მომავალი.**



დამარცხებული სიკვდილი

# მზის ასულად დარჩა მარად...



## ვიგონებთ რუსუდან რიგვავას

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რუსუდან სერგოს ასული რიგვავა 1964 წლის 16 ივნისს თბილისში დაიბადა.

1980 წელს დაამთავრა თბილისის 54-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1985 წელს – მოსკოვის ნ.ა.სემაშკოს სახელობის სტომატოლოგიის ინსტიტუტი. შემდეგ იყო მაშინდელი სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ორდინატორი და იქვე დაასრულა ასპირანტურის კურსი. ამავე ინსტიტუტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრაზე განაგრძო სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა, მოგვიანებით კი – ქირურგიული და ორთოპედიული სტომატოლოგიის კათედრაზე. ავტორი იყო არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა.

გარდაიცვალა 1994 წლის 27 იანვარს. ორშაბათს, 2014 წლის 27 იანვარს, 20 წელიწადი სრულდება როგორც გარეგნობით, ისე ნიჭიერებით, ოჯახიშვილობით, განსწავლულობითა და ადამიანურობით გამორჩეული ამ სიცოცხლის ტრფიალი ახალგაზრდის გარდაცვალებიდან. იგი ჭეშმარიტად იმ მზის ასულთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა ნათელ ხსოვნასთან დავიწყებას ხელი არა აქვს. ისინი, როგორც მზის ასულნი, ყოველ მზის ამოსვლასთან ერთად ამოდიან მარადიული ხსოვნის ასევე მარადიულად უღრუბლო ცაზე... იგი მარადიულად იმ ასაკისა იქნება, რა ხნისამაც გააბიჯა გრძელ გაღმა სოფელში.

ამჟამინდელი ეს გახსენებაც ამის ნათელი დასტურია.

### იყო მეტისმეტად სრულყოფილი ამ არასრულყოფილ სამყაროში...

თავისი ხანმოკლე და კაშკაშა, როგორც გაელვება, ცხოვრების მანძილზე მან მოასწრო, რომ ყოფილიყო ღირსეული პიროვნება, აღიარებული პროფესიონალი, ჭკვიანი მკვლევარი, კეთილი და საქმიანი ადამიანი, რომელსაც არასოდეს უღალატნია ღირსებისა და მოვალეობისთვის; მოყვარული ქალიშვილი, გასაოცარი დედა და წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერის, პროფესორ-გინეკოლოგ ალექსანდრე ჭილაძის ერთგული მეუღლე, ნათელი ოჯახური კერის მზრუნველი, დამცველი.

მომხიბლავ რუსიკოს ბავშვობიდან ვიცნობდი, ვმეგობრობდი მის მშობლებთან, ხშირად ვყოფილვარ მათს სტუმართმოყვარე, სიყვარულითა და გულღიაობით აღსავსე ოჯახში. ვხედავდი, როგორ იზრდებოდა იგი, იცვლებოდა, ლამაზდებოდა, სულ უფრო და უფრო ჭკვიანი ხდებოდა... როგორ წარმატებით სწავლობდა სკოლაში და ინსტიტუტში, კითხულობდა ბევრს, გულმოდგინედ სწავლობდა ინგლისურ ენას; გატაცებული იყო მუსიკით, თეატრით, კინოთი, მხატვრობით, საცხენოსნო სპორტით; როგორ იზრდებოდა და ყალიბდებოდა ცხოვრებაში...

მისთვის ხელმისაწვდომი იყო ყოველივე მშვენიერი, რაც საქართველოს ეროვნულ ღირსებას შეადგენდა, იგი წყურვილით ეუფლებოდა ქართულ და მსოფლიო კულტურის განძებს.

მასთან ყოველთვის საინტერესო და სასიამოვნო იყო ურთიერთობა.

იგი იყო მეტად გონიერი და განათლებული, მიზანსწრაფული და ქრისტიანულად პასუხისმგებელი, იუმორითა და სიხარულით აღსავსე.

რუსიკოს ღრმა ცოდნა, ერუდიცია და პროფესიონალიზმი შეუმჩნეველი არ რჩებოდა ჩვენს კოლექტივში. სწორედ ერთი წლის შემდეგ 23 წლის ასპირანტი რუსუდან რიგვავა ერთსულოვნად აირჩიეს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დიდი სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში. ეს იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა ინსტიტუტის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე.

მე უკვე ვიყავი ჩვენი ინსტიტუტის რექტორი, როდესაც 1990 წელს რუსიკომ ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რაც ნამდვილი მონოგრაფიის საფუძველი გახდა, რომელშიც ყველა მისი გამოკვლევა – ექსპერიმენტული და კლინიკური, ყველაზე მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული, არის უახლესი და პრიორიტეტული სტომატოლოგიურ პრაქტიკაში, დამაჯერებლად გვიდასტურებენ ფიბრის წებოს უნივერსალობასა და ფართო გამოყენებაში ეფექტიანობას ქირურგიული ჩარევის დროს.

ასე გახდა იგი 26 წლის ასაკში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, 16 წლის ასაკში მოასწრო დაემთავრებინა საშუალო სკოლა, 21 წლის ასაკში კი – ინსტიტუტი.

მისი ცხოვრების ყოველი გაელვება აღსავსე იყო აზრით და ღრმა შინაარსით.

იგი უყვარდათ, მისით ამაყობდნენ.

მსმენელები აღტაცებული იყვნენ მისი ცოდნით და ინფორმირებულობით; ავადმყოფები ყურადღებითა და ოსტატობით, გარშემომყოფნი – მისი გულუხვობითა და კეთილშობილებით. მხატვრები ხატავდნენ მის პორტრეტებს, პოეტები მას ლექსებს უძღვნიდნენ.

და, რაც მთავარია, იგი თავად იყო სიყვარულით აღსავსე ადამიანებისადმი, კეთილი აზრებითა და მდიდარი მოქმედებებით; მადლობას უძღვნიდა თავის მასწავლებლებს, აღმერთებდა სკოლისა და ინსტიტუტის მეგობრებს, მათ ბავშვებს, თავის მშობლებსა და მახლობლებს.

მთელი მისი არაჩვეულებრივად მდიდარი ცხოვრება, მისი ნებისმიერი საქციელი, მისწრაფება იყო არაჩვეულებრივად წმინდა და მაღალზნეობრივი.

1994 წლის იანვარში ჩვენთვის ამოუხსნელად და მოულოდნელად, სიცოცხლის 30-ე წელს რუსუდან რიგვავა გამოგვეთხოვა.

ის იყო ნამეტანი სრულყოფილი ამ არასრულყოფილ სამყაროში...

**ზაალ კახიანი,**
**პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

## სინანულის ბალადა

### (რუსუდან რიგვავას გასახსენებელი)

დრომ მოიტანა, მსახვრალმა,
ვინ იყო ამის მდომი –
გრილი, შრიალა,შუაზე
გახლიჩეს იპოდრომი.
ძნელია, ხანმოთეულმა,
წუხილი დაიოკო...
რა ბედისწერამ გააქრო –
ვარსკვლავთვალება გოგო?!
მზის დასდიოდა ნათელი
ლაღს და ზღაპრულად ლამაზს,
ნაღველი შემომაწვება,
როცა ვიხსენებ ამას.
ბილიკზე მოირხეოდა
მისი ასხმული ტანი...
ოცდაორი წლის ქალღმერთი,
ვიხილე რუსუდანი.

რძისფერი სახე... ვამსგავსე
გაჩენილს ამორძალად;
გულში ვთქვი: ეშხი თავად ცას
მოსტაცა, გამოსძალა.
ცეცხლოვანს, სუნთქვით შეეძლო,
ბალახი გადაეტრუსა...
თავს ევლებოდნენ ტოლები,
მახსოვს, ეძახდნენ „რუსას".
მანეჟის წინაც მინახავს,
ჩემ ბიჭს რომ ვაკითხავდი.
ნეტა იმ წუთებს... ალვისხე
დამშრიალებდა თავთით.
ყირავდებოდა კვირა დღე,
ეს იყო მისი ჰობი...
უშრიალებდა გიშრის თმა,
საცხენედ გამოწყობილს.

გაშლილი იყო მინდორი,
რისი ჭანჭრობი, რა ფშა!..
ფიცხს, ლაფში ფლოქვებჩაუდგმელს,
დაავგელვებდა ლაფშას.
მაისის მოლზე ხასხასა,
სამოსი ეცვა ხაკის;
მეჩვენა, მზერა ესროლა
ბაგების მხარეს – ვაკეს.
მიწყდა სივილი ქარისა,
სავალი გადიკეტა...
ახლაღა ვამბობ, შორიდან
იოლი არი ჭვრეტა.
თვალს ვავლებ იმ წლებს,
გავარდნილს...
ჯვრად ნაჭედ რკინის კართან,
გვერდით დაბზარულ გალავნის –
მზექალი დასამარდა.

**ემზარ კვიტაიშვილი,**
**2013**

## ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ 2014 წლის 18 მარტს 12:00 საათზე თიანეთის გამგეობის შენობაში და 15:00 საათზე დუშეთის გამგეობის შენობაში დაგეგმილია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის კმ 10-კმ 23 მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

გზშ პროექტი და არატექნიკური რეზიუმე ხელმისაწვდომია:

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურში, ქ.თბილისი, გულუას ქ. №6 (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);
- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები გაუგზავნოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს; ლუიზა ბუბაშვილს, ტელ: 595219141 likabubashvili@yahoo.com

შენიშვნების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 15 მარტი.

SIC!

## ნარკოტიკებს გამოდევნებულთ, დოპინგი გადაავიწყდათ

**ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრომ ქმედითი ღონისძიებების განხორციელება დაიწყო ე. წ. „საავთიაქო ნარკომანიის" წინააღმდეგ. აიკრძალა რეცეპტის გარეშე იმ პრეპარატების გაცემა, რომლებიც მცირე დოზითაც კი შეიცავენ თრობის მომგვრელ ნივთიერებებს.** შემდგომში ამ კუთხით სერიოზული ღონისძიებების გატარება იგეგმება. ამ, მართლაცდა საშიში სენის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯანდაცვის სამინისტროსა და მთელ რიგ უწყებებს მხედველობიდან გამორჩათ ნაკლებად საშიში, მაგრამ მაინც საფრთხილო – დოპინგის შემცველი სტიმულატორების გაყიდვაზე კონტროლის საკითხი. ამ პრეპარატებს ძირითადად სპორტსმენები იყენებენ.

14 იანვარს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში დოპინგ-სკანდალთან დაკავშირებული პრესკონფერენცია გაიმართა. თემა – **ქართველი მოჭიდავეების ლევან არაბულისა და გიორგი ედიშერაშვილის დოპინგზე ტესტირების ვერგავლა გახდა. მოჭიდავეებმა პრეპარატები ინტერნეტით გამოიწერეს და თვითნებურად მიიღეს.**

ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი აცხადებს, რომ საქართველოში დოპინგის შეძენაზე არავითარი კონტროლი არ არსებობს. მათი შესყიდვა შესაძლებელია როგორც ინტერნეტით, ასევე ფიტნეს კლუბების მეშვეობით. ინტერნეტით გამოწერის ფასი 5 ლარიდან იწყება, ამბობს ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი. მისივე განმარტებით, ქვეყანას არა აქვს არც საკანონმდებლო და არც სხვა რაიმე ბერკეტი, რომ დოპინგის გაყიდვაზე მონიტორინგი მოახდინოს. კახაბრიშვილი წინააღმდეგი არ არის ფიტნეს ცენტრებისა, მაგრამ მიაჩნია, რომ ქვეყანაში უნდა არსებობდეს რეგულაცია, რომელიც სპორტსმენებზე ამგვარი პრეპარატების გაყიდვას დაარეგულირებს. მისი დასკვნით კი, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ეს პრობლემა, კერძოდ კი სპორტი, საერთოდ არ აინტერესებს.

მთავარი ექიმის განცხადებას უმალ გამოეხმაურა ანტიდოპინგის სააგენტოს თავმჯდომარე **პალიკო კასრაძე,** რომელიც პრობლემის არსებობას არ უარყოფს, თუმცა, ამბობს, რომ **პრობლემის მოწესრიგება შეუძლებელია როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე სხვა ღონისძიებების გატარებითაც. სააგენტო ვერც ფიტნესებს დახურავს და ვერც ინტერნეტს დაბლოკავს,** აცხადებს კასრაძე და მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავლად სპორტსმენებში ამ მიმართულებით განათლების დონის ამაღლებას მიიჩნევს. არიან სპორტსმენები, რომლებმაც უბრალოდ არ იციან, თუ მათი ჯანმრთელობისთვის რა დამღუპველია დოპინგის შემცველი სტიმულატორების გამოყენება, აცხადებს ანტიდოპინგური სააგენტოს თავკაცი. იგი ამბობს, რომ სააგენტო მუშაობს „ანტიდოპინგური კანონის" შესახებ, რომელიც წლის ბოლოსათვის მზად იქნება.

ვიდრე უწყებათაშორისი პინგ-პონგი და ურთიერთგადაბრალებები მიმდინარეობს, მწვრთნელები სახელმწიფოს მხრიდან სასწრაფო ქმედითი ღონისძიებების გატარებას ითხოვენ, თორემ, ადვილი შესაძლებელია ჩვენმა სპორტსმენებმა თავი შეირცხვინონ არა მხოლოდ შიდა ასპარეზობებზე, არამედ საერთაშორისოზეც და სხვადასხვა სინჯის სიმწრით ნაწოლიავები მედლები ანტიდოპინგურმა შემოწმებებმა წაგვართვას.

**ზაზა ბილიხოძე**

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი №1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ბორჯომი, წმინდა ნინოს ქ. №3-ში მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 365 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ბორჯომი წმინდა ნინოს ქ. №3 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 203 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 25 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №2 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისი, კ. გამსახურდიას ქ. №17-ში (ნაკვეთი №2) მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 2 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისი კ. გამსახურდიას ქ. №17-ში (ნაკვეთი №2) |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 63 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 6,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 213 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 25 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| ობიექტი №3 | | |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 206 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 25 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის | 2 წელი |

| | | |
|---|---|---|
| | ლიცენზიის მოქმედების ვადა | |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 14** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცეზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის (ოთხი ჭაბურღილი) მოცულობა – 14 600 მ$^{3}$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 167 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 16,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 233 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 25 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |

| | | |
|---|---|---|
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 15** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოებისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს გამომუშავებული ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუისის მიმდებარე ტერიტორია, „რუისის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 66 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 11 565 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 156,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 2 513 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 25 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 16** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტი უნდა დამუშავდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოებისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტზე არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია, „აგარის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 153 300 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 26 661 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 666,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 5 532 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 25 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №17** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „გომი-II"-ის ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 75 300 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 097 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 009,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 2 219 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 25 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 25 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

◉ სეზონის წინ

# „დინამომ“ ახალწვეულები წარადგინა

**საფეხბურთო კლუბმა თბილისის „დინამომ“ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში დამატებული ფეხბურთელები ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენას“ საკონფერენციო დარბაზში წარადგინა.**

ვიდრე მოთამაშეებს ჩემპიონატის მეორე ნახევრისთვის მუდმივნომრიან მაისურებს გადასცემდნენ, „დინამოს“ მთავარმა




მწვრთნელმა მალხაზ ჟვანიამ და კლუბის სპორტულმა მენეჯერმა ირაკლი ვაშაკიძემ მცირე კომენტარი გააკეთეს:

„გუნდმა სრულფასოვნად მზადება 15 იანვრიდან დაიწყო. პირველ ეტაპს ხვალ დავასრულებთ და 27 იანვარს ანთალიაში გავემგზავრებით, სადაც 5 სპარინგი დავგეგმეთ, ხოლო 11 თებერვალს თბილისში დავბრუნდებით“.

ამის შემდეგ მათ და „დინამოს“ ფან-კლუბ „გლადიატორების“ ერთ-ერთმა წევრმა ახალწვეულებს მაისურები გადასცეს. 29 წლის თავდამსხმელი ირაკლი მოდებაძე 8-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, 24 წლის ნახევარმცველი გიორგი ჯანელიძე – 9-ნომრიანით, 25 წლის ნახევარმცველი თორნიკე გორგიაშვილი – 7-ნომრიანით, 25 წლის ცენტრალური მცველი გიორგი ხიდეშელი – 5-ნომრიანით, 19 წლის ნახევარმცველი მათე ცინცაძე – 6-ნომრიანით, 24 წლის მეკარე ნიკა დაუშვილი – 89-ნომრიანით.




მაისურების ჩამორიგების შემდეგ ჟვანიამ და ვაშაკიძემ ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხეს, საიდანაც შევიტყვეთ, რომ გიორგი მერებაშვილი ისევ „დინამოში“ ვარჯიშობს და თურქეთში შეკრებაზეც მიდის, ჯაბა დვალი აზერბაიჯანულ „ყარაბაღში“ განათხოვრების წესით ივნისამდე ითამაშებს, ხოლო ესპანელი ლეგიონერი უსტარიცი ტრავმირებულია და დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში დაისვენებს. სხვათა შორის, მას ჩამოყვანისას სრულყოფილი სამედიცინო შემოწმება არ ჩატარებია, რაც სამომავლოდ გაკვეთილად გამოგვადგება.

დავძენთ, რომ „დინამო“ ანთალიაში 5 სპარინგს გამართავს. უკვე ცნობილია სავარაუდო 4 მეტოქის ვინაობა: პოლონეთის „პოდბესკიძიე“ (28 იანვარი), ხორვატეთის „ჰაიდუკი“ (31 იანვარი), ჩეხეთის „მლადა ბოლესლავი“ (3 თებერვალი), და უკრაინის „ჩერნომორეცი“ (6 თებერვალი). მეხუთე მოწინააღმდეგის ვინაობა ირკვევა.

**ბეჟან დოლიძე**

◉ ჩოგბურთი

# მეოთხედფინალში გავიდნენ

**ქართველი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი (რეიტინგით 126-ე), რომელმაც მისთვის ჩვეული შემართებით ვერ იასპარეზა „მწვანე კონტინენტზე“ გამართულ ორ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში, სამშაბათიდან წარმატებით ჩაება დეიტონა ბიჩის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი), სადაც პირველ ნომრადაა განთესილი.** ერთეულთა თანრიგის სტარტზე მისი მეტოქე იყო ბულგარელი დია ევტიმოვა, რომელსაც პირველ სეტში 5:0-ს რომ უგებდა, სლავმა სპორტსმენმა ტრავმის გამო ასპარეზობის გაგრძელება ვერ შეძლო. შეჯიბრების რეიტინგფავორიტმა მეორე წრეც იოლად განვლო – ელიზა კოსტოვას (ბულგარეთი) მძლეველი ასია მუჰამადი (აშშ) დაჯაბნა – 6:0, 6:4. მეოთხედფინალში ჩვენებური კვალიფიკაციიდან აღზევებულ 17 წლის ტეილორ თაუნსენდს (აშშ) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა მე-2 წრეში 26 წლის კანადელი ალექსანდრა ვოზნიაკი დაამარცხა – 6:4, 6:4.




წარმატებით თამაშობს ვაჟთა ტურნირში თბილისელი ნიკოლოზ ბასილაშვილი (რეიტინგით 371-ე) – გერმანიის საერთაშორისო შეჯიბრების (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი) ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში მან კარენ ხაჩანოვი (რუსეთი) დაამარცხა ძალების დაუძაბავად -– 6:1, 6:4, მეორეში კი ტურნირის რეიტინგფავორიტ ნილს დესინს (ბელგია, რეიტინგში 198-ე) მოუგო – 6:4, 6:3. მეოთხედფინალში ქართველი ჩოგბურთელი ჩეხ მარეკ მიხალიკას (452-ე) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა მე-2 წრეში გერმანელი მორის ბაუმანი ჩამოიშორა გზიდან – 7:6, 6:4.

ბასილაშვილი წყვილებშიც ყოჩაღობს – იგი ბელარუს ალექსანდრ ბარისთან ერთად მეოთხე ნომრადაა განთესილი და ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო: ბასილაშვილი, ბარი – კარლ და ტილ ვაგნერები (გერმანია) 6:3, 6:1; ბასილაშვილი, ბარი – დავიდ ეისენზაფი, სტივენ გრევენი (ორივე – გერმანია) 6:1, 6:3. ნახევარფინალში ქართულ-ბელარუსული დუეტის მეტოქე იქნება მე-2 ნომრად განთესილი რუსების – კარენ ხაჩანოვისა და დენის მაცუკევიჩის ტანდემი. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ითამაშებენ: იანის ხალკე, ანდრეას მიესი (ორივე – გერმანია) – ულაძიმირ იგნატიკი (ბელარუსი), დიმიტარ კუტროვსკი (ბულგარეთი).

**ლექსო ცინცაძე**

◉ ფეხბურთი

# სანდრო როსელიმ თანამდებობა დატოვა

**ესპანურმა „ბარსელონამ“ ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც კლუბის პრეზიდენტმა სანდრო როსელიმ თანამდებობა დატოვა, 2016 წლამდე კი მის მოვალეობას ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჟოზეპ ბარტომეუ შეასრულებს.**

ბარტომეუ ხელმძღვანელი მანამდე იქნება, სანამ გასული საპრეზიდენტო არჩევნების გამარჯვებულ როსელის უფლებამოსილებების ვადა არ გაუვა. ამ უკანასკნელმა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ კატალონიური გრანდის დირექტორთა საბჭოს აცნობა.

შეგახსენებთ, რომ როსელის ბრაზილიელი ნეიმარის ტრანსფერის დროს 40 მილიონი ევროს მითვისება ბრალდება.

**გიორგი შოთაძე**



# რაფას მესამე ფინალი მელბურნში

**მსოფლიო რეიტინგსიის პირველი ნომერი რაფა ნადალი მესამედ გავიდა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში. 2009 წელს იგი წლის პირველი სადიდსლემო ტურნირის ჩემპიონი გახდა, კვირას კი შვეიცარიელ სტანისლას ვავრინკასთან გადამწყვეტ მატჩში კიდევ ერთხელ შეეცდება ავსტრალიის პირველობაზე გამარჯვებას. ფინალში რაფა 32 წლის როჯერ ფედერერის დამაჯერებელი ძლევით 7:6, 6:3, 6:3 გავიდა.**

გუშინდელმა ნახევარფინალმა 2 საათსა და 23 წუთს გასტანა. 27 წლის ესპანელმა ამ სათამაშო დროის განმავლობაში 4 ბრეიქი და 3 ეისი განახორციელა, ფედერერთან ურთიერთშეხვედრების ანგარიში კი 23:10 გახადა. დიდი სლემის ასპარეზობებს რაც შეეხება, ამ შეჯიბრებებზე რაფა მეთერთმეტედ შეხვდა როჯერს და მეცხრედ მოახერხა შვეიცარიელის დამარცხება.

**მანუჩარ გიორგაძე**



◉ კალათბურთი

# გაირკვა „ოლ სტარზის“ სასტარტო ხუთეულები

**ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, რომელსაც „ოლ სტარზის“ მონაწილეთა ვინაობა უნდა გაერკვია. შეგახსენებთ, რომ „ყველა ვარსკვლავთა“ მომავალი მატჩი ნიუ ორლეანში 16 თებერვალს გახლავთ დაგეგმილი.**

**აღმოსავლეთის ნაკრების სასტარტო ხუთეული:** ლებრონ ჯეიმსი, დუეინ უეიდი (ორივე – „მაიამი“), კარმელო ენტონი („ნიუ იორკი“), პოლ ჯორჯი („ინდიანა“), კაირი ირვინგი („კლივლენდი“).

**დასავლეთის ნაკრების სასტარტო ხუთეული:** კობი ბრაიანტი („ლეიკერსი“), სტივენ კარი („გოლდენ სტეიტი“), კევინ დიურანტი („ოკლაჰომა სიტი“), ბლეიკ გრიფინი („კლიპერსი“), კევინ ლავი („მინესოტა“).

ცნობისთვის, სტივენ კარი, პოლ ჯორჯი, კაირი ირვინგი და კევინ ლავი, რომელმაც გამოკითხვის ბოლო დღეებში დუაიტ ჰოვარდს გადაუსწრო, „ოლ სტარზის“ სასტარტო ხუთეულში პირველად ითამაშებენ.

ამასთან, კობი ბრაიანტმა, რომელმაც ქომაგებისგან 988 884 ხმა მიიღო, ლიგის ხელმძღვანელობას მისი სხვა მოთამაშით ჩანაცვლება თხოვა. საქმე ის გახლავთ, რომ კობის ტრავმა აწუხებს და მოედანზე გასვლას სიმბოლურად, ორიოდ წუთით თუ შეძლებს, ეს კი, მისი აზრით, კონკურენტებისადმი უპატივცემულობა იქნება.

**ვიტალი ჯაფარიძე**




◉ ინტერნეტიდან

# ვოზნიაცკიმ დიასახლისობა შეიფერა

**ერთი თვეც კი არ გასულა, რაც პოპულარული დანიელი ჩოგბურთელი კაროლინ ვოზნიაცკი გათხოვდა. მაგრამ თავი უკვე ისე უჭირავს, თითქოს კაი ხნის გამოცდილი დიასახლისი იყოს და ასეთ ამბებში ჭიპი ჰქონდეს მოჭრილი.**

კაროლინის მეუღლე წარმოშობით ჩრდილოეთირლანდიელი მეგოლფე რორი მაკილროია, რომელმაც კაროლინი ცოლად ორწლიანი თანაცხოვრების შემდეგ მოიყვანა და არ დაუმალავს, რომ ცოლის მოყვანის გადაწყვეტილება უპირველესად შვილის ყოლის სურვილის გამო მიიღო.

კაროლინიც და რორიც საკმაოდ წარმატებული სპორტსმენები არიან და შესაბამისად, ფინანსურად არც ერთს არ უჭირს, ამიტომ კაროლინს, როგორც „დიდი სახლის პატარა დიასახლისს“, გადაწყვეტილი აქვს, ერთი დიდი სახლი შეიძინოს, რომელსაც მთლიანად თავის გემოზე მოაწყობს. უნდა და იზამს კიდეც!

**როსტომ რაჭველიშვილი**



ალიან-ჩალიანი

## გაბუნია ხუხაშვილისგან მორალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს

ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო, ექსპერტ გია ხუხაშვილის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

— მე გია ხუხაშვილის წინააღმდეგ შევიტანე სარჩელი საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო. ადგილი ჰქონდა უპრეცედენტო ზეწოლის ფაქტებს და, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სისხლის სამართლებრივ ნიშნებსაც ხუხაშვილის ქმედებაში. როდესაც ადვოკატთა ასოციაციაში გავაკეთეთ ამის შესახებ განცხადება, მან ცილისმწამებლური კამპანია დაიწყო და გაავრცელა ისეთი ცნობები, რომელიც ლახავს ჩემს პატივსა და ღირსებას და საქმიან რეპუტაციას. ჩემს მიერ იქნა შეტანილი სარჩელი, რომ ის ცილისმწამებლური განცხადებები მან უარყოს საჯაროდ და მორალური ზიანის სახით მისგან ვითხოვ სიმბოლურად 1 ლარის გადახდას. მე დარწმუნებული ვარ, რომ მაქვს არგუმენტი, რის გამოც სამოქალაქო წესით აგებს პასუხს ბატონი გია ხუხაშვილი, — განაცხადა დიმიტრი გაბუნიამ.

## საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა

2013 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 10784 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

„საქსტატის" მონაცემებით, აღნიშნული ციფრი წინა წლის მაჩვენებელზე 6 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 2909 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (22 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 7874 მლნ აშშ დოლარს (0,4 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2013 წელს 4965 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46 პროცენტი შეადგინა.

2013 წლის დეკემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 1104 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის დეკემბრის მაჩვენებელზე 27 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 293 მლნ აშშ დოლარი იყო (47 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 811 მლნ აშშ დოლარი (21 პროცენტით მეტი). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2013 წლის დეკემბერში 519 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 47 პროცენტი შეადგინა.

საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა, ხოლო საიმპორტოში — ნავთობმა და ნავთობპროდუქტებმა.

„საქსტატის" მონაცემებით, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა 704 მლნ აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 24 პროცენტი შეადგინა.

ფეროშენადნობების ექსპორტი უდრიდა 230 მლნ აშშ დოლარს, ხოლო მისი წილი მთლიან ექსპორტში 8 პროცენტს.

მესამე ადგილზე თხილისა და სხვა კაკლის ჯგუფი დაფიქსირდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 167 მლნ აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 6 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2013 წელს კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომლის იმპორტმა 954 მლნ აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 12 პროცენტი შეადგინა.

## დაკავებულია იარაღით მოვაჭრეთა ჯგუფი

როგორც შსს-დან იტყობინებიან, უწყების ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, შიდა ქართლში მოქმედი, ცეცხლსასროლი იარაღით მოვაჭრეთა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები — 1958 წელს დაბადებული თეიმურაზ გ, 1985 წელს დაბადებული ზურაბ გ. და 1985 წელს დაბადებული ნიკო კ. დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები გარკვეული თანხის სანაცვლოდ სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო რეალიზაციას პერიოდულად ეწეოდნენ.

მათივე ცნობით, სამართალდამცველებმა თეიმურაზ გ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას სარეალიზაციოდ გამზადებული 4 პისტოლეტი, ხოლო ზურაბ გ-ს საცხოვრებელი სახლიდან 1 პისტოლეტი და 3 ვაზნა ამოიღეს.

ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 4 ერთეული „გლოკის" სისტემის პისტოლეტი, 1 კუსტარული წესით დამზადებული ავტომატური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი და 3 საბრძოლო ვაზნა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, ტარების და გასაღების ფაქტებზე მიმდინარეობს, რაც 3-დან 10-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტერპრესი

სულთათანა

## გამოთხოვება ომარ ერგემლიძესთან

მძიმე დროში ვცხოვრობთ, საქართველოში სიკვდილის შიშიც კი აღარ არის. თითქოს „შევეჩვიეთ" მის ხშირ „სტუმრობას"... ბევრი წავიდა ოჯახის წევრებიდან, სამეგობროდან, მშობლიური სოფლიდან თუ ქალაქიდან, წავიდნენ სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ დატოვეს სახელი, ხსოვნა, რომელიც მუდმივად სატარებელია და სახსოვარია ჩვენთვის.

ამ ფონზე თითქოს არაფერი შეძრავდა ჩვენს გულს, მაგრამ სულ სხვა განცდა და ტკივილია ახლა ჩვენს სამეგობროში. ვერ ვიჯერებთ, რომ ჩვენმა ომარმა ამქვეყნიურ სამყაროში ცხოვრება დაასრულა.

წლებმა დაგვაკავშირა, წლებმა გამოსცადა ჩვენი ძმობა და თანადგომა. ომარი შეუდარებელი იყო, მას ისე არავინ არ იცნობდა, როგორც ჩვენ, მეგობრები.

ჩვენო საყვარელო ომარ, ვისაც შენი კაცობა და მეგობრობა ახსოვს, ვისაც შენი ჭირსა და ლხინში გვერდით დგომა გამოუცდია, შეუძლებელია გული არ სტკენოდა შენი გარდაცვალების გამო.

ჩვენო ძვირფასო ომარ, შენ სამაგალითოდ განვლე ცხოვრება ამ წუთისოფელში. გულდასაწყვეტია, რომ შენისთანა კაცები გვაკლდებიან. რას ვიზამთ, ღმერთის ნებაა...

ნათელი დაგადგეს ჩვენო ძვირფასო, საყვარელო ძმაო და მეგობარო!

მეგობრები: **მაყვალა კუჭავა, ლამარა არდანაშვილი, მადლენა კიღურაძე, ანზორ ადეიშვილი, დემნა ბლიაძე, გურამ ბერიშვილი, ლევან გვაზავა, ელიზბარ ლომინაძე, დათო იმნაიშვილი, სერგო კალმახელიძე, ვახტანგ ვარდიაშვილი, რეზო ოზოლაძე, თამაზ ქურდიანი, ლერი ჭოჭუა, ჯემალ კანდელაკი, გოგი ახობაძე, სულიკო ჯაყელი.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

კარიერის პასაჟები

# თეთრი წინდებით – მხოლოდ სავარჯიშოდ

**ახალგაზრდული მოდა, მართალია, ყველა ქვეყანაში, ხშირად მათ ცალკეულ მხარეებსა და ქალაქებში, ზოგჯერ, სულაც, უბნებს შორისაც კი ძალიან განსხვავებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი საერთო ნიშანი მაინც აქვს — ის უაღრესად თავისუფალია და, ფაქტობრივად, არანაირ კანონებს არ სცნობს. ამის აუარება მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამჯერად ლაპარაკი არა თანამედროვე ახალგაზრდული მოდის თავისებურებებზე, არამედ იმაზე გვექნება, თუ რისი ცოდნაა აუცილებელია იმ ახალგაზრდებისთვის, ვინც დამოუკიდებელი ცხოვრების ზღურბლზე დგას, რა დროსაც უამრავ მისთვის უცხო ხალხს ოფიციალურ ვითარებაში უნდა შეხვდეს, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს, საკუთარი უნარი წარმოაჩინოს და საზოგადოებაში ავტორიტეტი მოიხვეჭოს. საამისოდ კი, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, მით უმეტეს სოლიდურ კომპანიაში თუ სახელმწიფო უწყებაში მოღვაწეობის დროს, საჭირო იქნება ეგრეთ წოდებული „დრეს-კოდის", ანუ ჩაცმულობის გარკვეული ნორმების დაცვა. ეჭვი არ არის, ბევრმა ახალგაზრდა ქალიშვილმაც და ყმაწვილმაც იცის, თუ სად როგორ ჩაცმული უნდა მივიდეს, მაგრამ, შესაძლოა, ბევრისთვის ცნობილი არ არის, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური საქმიანი კოსტიუმი.**

### ჩაცმა წესების დაცვით

მრავალ სამამულო თუ უცხოურ დიდ კომპანიაში სამსახურში ჩაცმის წესები წვრილადაა გაწერილი. ბევრ მათგანში ლამის ყველა ცხოვრებისეული ნიუანსია გათვალისწინებული, დაწყებული თანამშრომელთა წინდებისა და საცვლების ფერით, დამთავრებული პერანგისა თუ ჰალსტუხის ტონით. მაგრამ, რა უნდა ქნას კაცმა მაშინ, როცა ტანსაცმელთან დაკავშირებით ხელმძღვანელობას რაიმე განსაკუთრებული წესები არ დაუკანონებია? უხერხული მდგომარეობის თავიდან ასარიდებლად ურიგო არ იქნება, თუკი ამასთან დაკავშირებით რამდენიმე რჩევას გავითვალისწინებთ.

### დააკვირდით გარშემო მყოფთ

როცა ახალ კოლექტივში აღმოჩნდებით, უცბად საკუთარი ინდივიდუალობის გამოჩენას ნუ ეცდებით. უმჯობესია, ჯერ დააკვირდეთ, თუ როგორ იცვამენ თქვენი კოლეგები და ეცადეთ, მათგან ამ მხრივ დიდად არ გამოირჩეოდეთ. თუკი ამის გარკვევის დრო, ან საშუალება არ გაქვთ, უმჯობესია კონსერვატულად ჩაიცვათ: თავდაპირველად ზედმეტად თვალში მოხვედრას, ისევ მორიდებულობა სჯობს.

### მიბაძეთ უფროსს

კანადელ მეცნიერთა რეკომენდაციას თუ ვენდობით, კაცს, რომელსაც უფროსის ნდობის მოპოვება სურს, რაღაცით უნდა დაემგვანოს მას. მათ ერთობ საგულისხმო ცდა ჩაატარეს: თითოეულ გამოსაცდელს იმის შეფასება სთხოვეს, შეიძლებოდა თუ არა ფულის ნდობა ეკრანზე ნაჩვენები კაცისთვის. მოხალისეთა უმრავლესობამ (86 პროცენტმა) ამ მხრივ სანდოდ ის პირები მიიჩნია, ვინც მათ ჰგვანდნენ, „უცხოებს" კი ნაკლებად ენდობოდნენ. იგივეს თქმა ჩაცმულობაზეც შეიძლება. თუკი თქვენი ჩაცმის სტილი ხელმძღვანელის ჩაცმის სტილს ჰგავს, სამსახურებრივი წინსვლის შანსები გაცილებით მატულობს. ერთი კია: მიუხედავად ამისა, უფროსის ჩაცმულობის სტილის მთლიანად გადაღება არ ღირს, ყურადღება მხოლოდ ცალკეულ ელემენტებზე უნდა გაამახვილოთ.

### გახსოვდეთ ფასი

არსებობს დაუწერელი წესი: თქვენი ჩაცმულობის მთლიანი ღირებულება თქვენივე ხელფასის დაახლოებით ნახევარს უნდა შეადგენდეს. ამიტომ, თუკი სამსახურებრივი წინსვლა გსურთ, არავითარ შემთხვევაში არ ჩაიცვათ უფროსზე უფრო ძვირიანად. ხოლო თუ უკვე დაგაწინაურეს, თქვენი ჩაცმულობა ქვეშევრდომებისაზე უფრო ძვირიანი უნდა იყოს.

### ატარეთ ჰალსტუხი!

ფსიქოლოგები ჰალსტუხის ტარებას... ქალებსაც კი ურჩევენ! მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით უკვე ბევრმა ქალმა გაუსწრო მამაკაცებს კარიერის მხრივ, უკეთეს ხელმძღვანელებად ბევრნი მაინც მამაკაცებს მიიჩნევენ. ამიტომ, სპეციალისტები ქალბატონებს ჩაცმულობაში „მამაკაცური" ელემენტების ჩართვას ურჩევენ.

### აკრძალვები ქალბატონებისთვის

თუკი თქვენს კომპანიაში ყოველდღიური ჩაცმის საქმიანი სტილია მიღებული, სავსებით გასაგებია, რომ სამსახურში ჯინსით და მაისურით მისვლა დაუშვებელია. მაგრამ, ბევრს მაინც ჩაცმის თავისუფალი სტილი რომ ურჩევნია? ხომ არ შეიძლება, ზოგჯერ, მაგალითად, პარასკეობით გამონაკლისის გაკეთება, რომელიც ბევრ სოლიდურ ფირმაშიც კი „არაფორმალური სამოსელის დღედაა" მიჩნეული? სინამდვილეში, თუკი ზოგჯერ არაფორმალურად ჩაცმა მაინც დაუშვებულია, არის რამდენიმე ისეთი რამ, რომლის გაკეთებას ყოველთვის უნდა მოერიდოთ. მაგალითად:



- **ნურასდროს ნუ ჩაიცმევთ ძალიან მოკლე ქვედაბოლოს, პარასკეობითაც კი. ოპტიმალური სიმოკლე — მუხლს ზემოთ არა უმეტეს 9 სანტიმეტრისა. სხვათა შორის, ასევე უნდა მოერიდოთ ძალიან გრძელ, კოჭებამდე ქვედაბოლოებისა და კაბების ჩაცმასაც;**
- **მოერიდეთ ძალიან გამჭვირვალე სამოსელსა და ღრმად ამოღებულ უბეს. თქვენს საცვლებს — ბრეტელებსაც კი! — არავინ არ უნდა ხედავდეს;**
- **ნუ ჩაიცვამთ ბრეტელებიან მაისურებს და ტოპებს;**
- **ნუ აისხამთ ბევრ სამკაულს, არსებობს დაუწერელი წესი: ქალბატონს ერთდროულად სამ სამკაულზე მეტი არ უნდა ეკეთოს, მათ სათვალავში საათიც შედის!**
- **რაც შეეხება სხვას, მოერიდეთ ძალიან მაღალქუსლიან და ზედმეტად მაღალპლატფორმიან ფეხსაცმელს.**

### აკრძალვები მამაკაცებისთვის

მამაკაცებსაც არ აწყენს ზოგ რამეზე უარის თქმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ კომპანიაში, შესაძლოა, ჩაცმის არაფორმალური სტილია მიღებული.

- **უნდა მოერიდოთ დაბალწელიანი ჯინსის ჩაცმას, შარვლიდან არც ზურგის ნაწილი, ან, მით უმეტეს, საცვალი არ უნდა გიჩანდეთ;**
- **აიკრძალეთ თეთრი წინდები — მათი ჩაცმა მხოლოდ სპორტულ დარბაზში შეიძლება;**
- **მოერიდეთ მოკლე შარვლებს, შორტებს, ბრიჯებს. ოფისში ჩასაცმელი შარვალი წვივებს უნდა გიფარავდეთ;**
- **ნურასოდეს ჩაიცვამთ სამსახურში სანდლებს, წინდებითაც კი;**
- **სამკაულებიდან შეგიძლიათ ატაროთ საათი, საქორწინო ბეჭედი, ჰალსტუხისა და პერანგის შესაბნევი.**

დაბოლოს, რამდენიმე ტაბუ, რომელიც ოფისში ორივე სქესის წარმომადგენლისთვის მოქმედებს.

### არ შეიძლება გეცვათ:

- **დახეული ჯინსი;**
- **„ჰავაის", ანდა ყვავილებით მოხატული პლაჟის მაისური;**
- **სპორტული კოსტიუმი, ან მისი ნაწილი;**
- **ფლოსტები;**
- **ზედმეტად სქელი ჯემპრე, გაწელილი ტანსაცმელი.**

აი, ესაა და ეს, მეტი არაფერი.

წარმატებებს გისურვებთ!

ოთარ ტურაბელიძე

## დღესასწაული

# 27 იანვარს ნინოობაა, გილოცავთ!

**27 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქალწულ ნინოს, მოციქულთა სწორს და ქართველთა განმანათლებელს, ჩვენს წმინდა ნინოს.**

...ცნობილია, რომ საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. მაგრამ, როცა დედა ღვთისმშობელმა დააპირა საქართველოში წამოსვლა საქადაგებლად, მას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ნუ განეშორები იერუსალიმს. ხვდომილი ქვეყანა შენი განათლდების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ“.

მარიამ ღვთისმშობელმა გამოარჩია კეთილმორწმუნე კაბადოკიელი ასული — ნინო, რომელსაც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული იმ ქვეყნის ნახვა, სადაც მაცხოვრის წმინდა კვართი ინახებოდა და ევედრებოდა ღვთისმშობელს, დახმარებოდა ამ წმინდა მიზნის განხორციელებაში.

კეთილად აუხდა ოცნება ქალწულ ნინოს; ძილში ღვთისმშობელმა უთხრა: „გაემგზავრე იბერიაში, დაამკვიდრე იქ სახარება და მე ვიქნები შენი შემწე... ეს ვაზის ტოტების ჯვარი იქნება შენი მფარველი გაჭირვებაში, ყოველი ხილული და უხილავი მტრის წინაალმდეგ, ძალითა მისითა დაამყარებ იქ სიტყვას ძისას ჩემისას, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“.

...გამოეღვიძა ქართველთ განმანათლებელ-ქალწულ ნინოს და ის ჯვარი იხილა ხელში, რომელიც სწორედ დედა ღვთისმშობელმა მისცა. ამ ჯვარმა უწინამძღვრა ქართველთა განმანათლებელს ოცნებად დასახულ ქრისტეს რჯულზე მოსაქცევად. ნანა დედოფალი, მირიან მეფე, მთიანეთელები — მან მოაქცია.

წმინდანის ხსენების დღეს ნინოს ჯვარს გამოაბრძანებენ ხოლმე მლოცველთა თაყვანისსაცემად და ამბორსაყოფად!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა თბილისის, მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა ილია II ბრძანებს: „...მოციქულთა მოღვაწეობა ვლინდებოდა ეკლესიის მთელი ტერიტორიის მანძილზე და



იგი დღესაც ნათლად ჩანს და დარწმუნებული ვარ მომავალშიც გაგრძელდება“.

**გიული ლიპარტია**

## ფრაზები

# სხვათაგან თქმული...

### მიუსაფარ აზრთა სტრიპტიზი

● პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — რაც მეტია ძალაუფლება, მით უფრო ნაკლებია პასუხისმგებლობა.

● არ არის სწორი, თითქოს ქალებს ხასიათი არა აქვთ, როგორ არა აქვთ, მაგრამ ყოველდღე სხვადასხვა ხასიათისანი არიან.

● თუ ფულის კარგად დათვლა იცი, სინამდვილეში ვერასოდეს მდიდარი ვერ გახდები.

● ორი ელემენტი, ყველაზე მეტად რომ გვხვდება სამყაროში, წყალბადი და სისულელეა.



● ქალები ყველაფერს იკადრებენ, კაცები — ყველაფერ დანარჩენს.

● გზები ბევრგან ცუდი გვაქვს, სამაგიეროდ შლაგბაუმები გვაქვს კარგი.

● ძალიან ადვილი საქმეა ქალისთვის ლაპარაკის სწავლება, გაცილებით ძნელია იმისთვის ენაზე კბილის დაჭერის სწავლება.

● სხვისი ცხოვრებით ვერ იცხოვრებ, შეუძლებელია, მაგრამ სხვისი ცხოვრების გაფუჭება ადვილი საქმეა.

● ჩვენში ყოველი მესამე უკმაყოფილოა წინ ორის ცხოვრებით.

● ჩვენი პოლიტიკის საფუძველში კაცი წევს, და არავინ იმას წამოდგომის ნებას არ მისცემს.

● გზა სამართლიანობისკენ არის, მაგრამ თვითონ სამართლიანობა არ არის.

● რამდენჯერაც არ უნდა გადახვიდე სიტყვიდან საქმეზე, მაინც სიტყვა გეწევა უკან.

● იმისგან კარგი კაცი გამოვიდა, მაგრამ ცუდი ისევ იქ დარჩა.

● არცრა არის უფრო მყიფე, ვიდრე მტკიცე თავდაჯერებულობა.

● თუ კაცი ცხოვრების აზრს ეძებს, იმას მიზანი არა აქვს...

● სხვების შურით ილაჯი გაუწყდა.

● ძნელია, ამაყად წელში გამართული გასაღების ჭუჭრუტანაში იჭყიტებოდე.

● ბიჭებო, მეტი იფიქრეთ, ნაკლები აწონ-დაწონეთ.

● საკუთარ სისულელესთან მშობლიური დამოკიდებულება აქვს.

● ჭკვიან ქალს გასულელებაც უნდა შეეძლოს.

● არიან ადამიანები, რომლებიც ძალიან დიდი ხანია, არ მინახავს, და მაინც არ მინდა იმათი ნახვა.

● ფულთან მარტო ფული არ მიდის, ფულთან მიდიან რეკეტორები, პროკურორები, მოსამართლეები და საგადასახადო ინსპექცია.

● იუმორი — ეს იმის უნარია, რომ ერთი მედლის სამი მხარე დავინახოთ.

● დაპირებების მიხედვით ყველა ადამიანი ერთმანეთს ჰგავს. ისინი მხოლოდ ამ დაპირებების შესრულების მხრივ განსხვავდებიან.

● საოცრად გონიერი ჩანს პოლიტიკოსი იმ დროიდან ათი წლის შემდეგ, როცა ის ნამდვილად გონიერი უნდა ყოფილიყო.

● თუკი რისამე დაუყოვნებლივ დავიწყება გინდათ, ჩაიწერეთ, რომ არ დაგავიწყდეთ.

● ახალგაზრდებმა უმეტესად არ იციან, რა უნდათ, მაგრამ მაინც იმის მისაღწევად ჩალიჩობენ.

● შეყვარებული ახალგაზრდები იმის საფასურს იხდიან, რასაც აკეთებენ, შეყვარებული ხანდაზმულები კი — იმის საფასურს, რასაც არ აკეთებენ.

● ვბერდებით, მაგრამ სიცოცხლის გახანგრძლივების სხვა საშუალება ჯერ არ გამოუგონიათ.

● ზოგიერთ ადგილს ეზოპეს ენით ლოკავენ.

● უკვე გაჩნდნენ მოსახლეობის კლასობრივად უცხო ფენებიც.

● გამოხედვით ასიანად გამოიყურებოდა, თუმცა ორასი ჰქონდა დალეული.

● ადამიანებს თავიანთი ბედნიერება არ ესმით, მხოლოდ სხვისაში ერკვევიან.

● მუზა ისეთი უნდა იყოს, რომ შენ თავად გინდოდეს იმასთან მისვლა.

● იმ კაცს სინდისზე ეტყობოდა ქენჯნის ნაკვალევი.

● შრომას ჯერ არავინ არ მოუკლავს, შეშინებით კი ბევრი ჰყავს შეშინებული.

● ჭკვიანები ცხოვრების აზრს ეძებენ, სულელებს ბედნიერებაც ჰყოფნით.

● დროის უკმარისობა არ არსებობს, არსებობს უსარგებლო საქმეთა სიჭარბე.

● იმის მონელება ყოველთვის უჭირთ, ვისთვისაც კბილი არ მოუსინჯავთ.

● რეალობა ის არის, რაც გაქრობაზე უარს ამბობს, როცა იმის არსებობა უკვე აღარ გჯერათ.

შეკრიბა და გაასტრიპტიზა
**გურამ წიკლაურმა**

## ჩვენი პრესდაიჯესტი



### 7 თებერვლიდან ენგური, შესაძლოა, ჩაიკეტოს

ფსოუზე სპეციალური საშვის გარეშე მანქანებს აღარ უშვებენ. როგორც „რეზონანსისთვის“ გახდა ცნობილი, დე ფაქტო საზღვარზე, რომელიც ენგურზე გადის, 7 თებერვლიდან საზღვარი დაიკეტება. მხოლოდ ის ადამიანები, ვისაც ექნება სპეცნებართვა, მოახერხებენ გადასვლას. აღნიშნული შეზღუდვა ოლიმპიადის დასრულებამდე გაგრძელდება. თუმცა, „კავკასიური სახლის“ აღმასრულებელი დირექტორი გიორგი კანაშვილი, მიუხედავად მაქსიმალურად გამკაცრებული კონტროლისა, ოლიმპიადის დღეებში არც ფსოუს და არც ენგურის სრულ ჩაკეტვას არ ვარაუდობს.

**„რეზონანსი“**

### რა საიდუმლო ინფორმაციას უმხელს „ალიას“ მამუკა არეშიძე

— სულ მცირე ამერიკისა და ისრაელის სპეცსამსახურები არიან დაინტერესებული კეზერაშვილის თემით. მათ აქვთ დასმული კითხვები, რაზეც პასუხი უნდა მიიღონ. მე აღარაფერს ვლაპარაკობ ფრანგებზე და ზოგიერთი ევროპული ქვეყნების წარმომადგენლებზე. ყველა კითხვა ეხება იარაღით უკანონო ვაჭრობას. ასე რომ, მის მიმართ ნამდვილად არის კითხვები, იარაღის კონტრაბანდასთან დაკავშირებით. ფრანგ გამომძიებლებს გარდა იმისა, რომ გაუგზავნა საქართველოს ხელისუფლებამ, მათ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა ასევე ბულგარულმა მხარემ.

**„ალია“**

### ოპოზიცია თბილისის მერობის კანდიდატად ირაკლი ოქრუაშვილს დაასახელებს?

ქალაქში ხმა გავარდა, რომ პარტიების ნაწილი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გარშემო აპირებს გაერთიანებას. პარტიის მეორე ნაწილი კი თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად გეგმავს ბრძოლას. თავად ოქრუაშვილისგან ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული არაფერი ისმის, თუმცა გვპირდებიან, რომ სამომავლო პოლიტიკურ გეგმებზე, ის თავად გააკეთებს განცხადებას.

**„ახალი თაობა“**

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— ოჰ, როგორ მტკიოდა ფეხები ორმოცდასამში, აუტანლად მტკიოდა, — ეუბნება მოხუცი თავის თანამგზავრს.

— ახლა როგორა ხართ, ბაბუ?

— ახლა ჩავიცვი ორმოცდახუთი ზომის ფეხსაცმელი და ტკივილიც გაქრა!

* * *

— გინდივარ? — ეკითხება ცოლი ქმარს.

— არა.

— ჭამა გინდა?

— კი.

— ამ კითხვებს შორის კავშირს გრძნობ?

* * *

— მამი, რას ნიშნავს „ტელემამაკონიკი“? — ეკითხება მიხო მამას.

— სად წაიკითხე ეს, შვილო?

— კი არ წამიკითხავს, დავწერე.



* * *

— ბიძაჩემო, ღმერთმა შვიდ დღეში სამყარო შექმნა, შენ კი მთელი თვე მიკერავდი შარვალს, — საყვედურობს კლიენტი თერძს.

— ყმაწვილო, ჯერ იმ სამყაროს შეხედეთ და მერე — ამ შარვალს!

* * *

ორი ახალგარდაცვლილი მამაკაცი სამოთხეს მიადგა. კარებთან მათ პეტრე მოციქული შეხვდა.

— დედამიწაზე როგორ და რისთვის იყენებდი შენს სასქესო ორგანოს? — ეკითხება პეტრე პირველ მათგანს.

— 80 პროცენტით სექსისთვის, 20 პროცენტით კი მოსაშარდავად.

— მოციქულმა მას სამოთხის კარები გაუღო.

— შენ როგორ იყენებდი? — ჰკითხა მეორესაც.

— 90 პროცენტი მოსაშარდავად, 10 პროცენტით კი სექსისთვის.

— სამწუხაროდ, ვერ შეგიშვებ სამოთხეში.

— რატომ?

— იმიტომ, რომ აქ სამოთხეა და არა ტუალეტი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24